ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

16 — 17 მარტი, 2013 | №63 (6064) | ფასი: 30 თეთრი

15 მარტიდან!
„ახალი თაობა“+
„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“
100 მეცნიერი, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო
წიგნი და გაზეთი ერთად 10 ლარი



სალომე ზურაბიშვილი — „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი?

გვ.4

დავით ნარმანია: „გუბერნატორის ინსტიტუტი უქმდება“

გვ.3

რაში აწყობს „ქართულ ოცნებას“ ოპოზიციაში ნაციონალების ყოფნა

გვ.2

ყოფილი პატიმრის სიცოცხლე საფრთხეშია

გვ.6

გიორგი მარგველაშვილი: „ნუ გახდებით ბენდუქიძის პოლიტიკური სიბინძურის მძევლები“

გვ.3

გია გვაზავა: „აფხაზეთის ომი წაგებისთვის იყო დაგეგმილი“

გვ.5

ზურა ჯაფარიძე: „აგრარულ უნივერსიტეტს პრემიერის მითითებით უპირისპირდებიან“

გვ.6

17 მარტიდან მთელ საქართველოში ყინვებია მოსალოდნელი

გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის ცნობით, 17 მარტიდან საქართველოს ტერიტორიაზე ევროპის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ცივი და ნოტიო ჰაერის მასები გავრცელდება. ამის გამო ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურა მკვეთრად დაეცემა. ბარში თოვლ-ჭყაპია მოსალოდნელი, ხოლო მთაში — თოვლი.

დაუბერავს დასავლეთის ძლიერი ქარი, რომლის ძალამაც აღმოსავლეთ საქართველოში, მდინარე მტკვრის ხეობასა და თბილისში შეიძლება 30 მ/წმ-ს მიაღწიოს.

18-19 მარტს სინოპტიკოსები ყინვასაც არ გამორიცხავენ. 19 მარტიდან პროცესი დასრულდება და ტემპერატურა კვლავ მოიმატებს.

ნიუსპრესი

ISSN 1987-9385

13 მარტიდან!
„ახალი თაობა“
+
შექსპირი
8 ლარი



რაში აწყობს „ქართულ ოცნებას“ ოპოზიციაში ნაციონალების ყოფნა

შორენა კოწოწაშვილი

კოჰაბიტაციის ფარგლებში პრემიერ-მინისტრის მხრიდან კოტე კუბლაშვილთან უზენაეს სასამართლოში მოსვლა უმრავლესობის წევრმა კობა დავითაშვილმა ივანიშვილის შეცდომად მიიჩნია. დავითაშვილის აზრს უმრავლესობაში ბევრი არ იზიარებს, არასაპარლამენტო ოპოზიციაში კი მიაჩნიათ, რომ სამართლებრივად, მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით, ივანიშვილის მთავრობა არის პრეზიდენტ სააკაშვილის გუნდი. ამიტომ არანაირი სამართლებრივი უზრუნველყოფა არ აქვს კოჰაბიტაციას.

„სახალხო პარტიის“ ლიდერ მამუკა გიორგაძის თქმით, როცა საქართველოში კოჰაბიტაციის სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს. ამიტომაც საუბარია ისეთ თემებზე, როგორიც არის პარლამენტისა თუ მთავრობის დათხოვნის შესაძლებლობა. გიორგაძის თქმით, ასეთ ვითარებაში შეუძლებელია კოჰაბიტაცია.

– კოჰაბიტაცია საჭიროა, რათა ქვეყანაში დამყარდეს მშვიდობა, დემოკრატია. საერთოდ, კოჰაბიტაცია არის ბალანსი და წონასწორობის დაცვა, ხოლო როდესაც ბალანსის ერთ მხარეს დამნაშავე ორგანიზაცია წარმოადგენს, რომელ წონასწორობაზეა საუბარი?! ერთი მხრივ, დამნაშავედ ვაცხადებთ ამ ორგანიზაციას და მეორე მხრივ ჯიუტად ვცდილობთ, ამ დამნაშავე ორგანიზაციასთან ბალანსი დავამყაროთ, – აცხადებს მამუკა გიორგაძე და იქვე მიუთითებს, რომ კოჰაბიტაციის ფარგლებში საქართველოში ხელს ვუწყობთ დამნაშავე ორგანიზაციამ – ნაციონალურმა მოძრაობამ – აიცილოს პასუხისმგებლობა; რომ არ მიიღოს ის სასჯელი, რომელიც ეკუთვნის.

გთავაზობთ ინტერვიუს მამუკა გიორგაძესთან

– ბატონო მამუკა, კოჰაბიტაციის პროცესი ხელს არ შეუწყობს ქვეყნის განვითარებას?

– ვიცით რა, რომ ეს არის დამნაშავე ორგანიზაცია და ნებისმიერ დროს მზად არის, ააყირავოს ეს წონასწორობა და ქვეყანა უფრო სერიოზულ კრიზისში შეიყვანოს, მაინც ვცდილობთ მასთან თანამშრომლობას და ურთიერთობის გზების გამონახვას. ასე არ შეიძლება. ეს რეალურად ქვეყნის განვითარებას ხელს უშლის. ამიტომ, როდესაც ასე ჯიუტად ცდილობენ შეუთავსებლის შეთავსებას, ეს სასურველ შედეგს არ მოიტანს. თუნდაც ბოლო პერიოდის განცხადებები ავიღოთ: თურმე ამას იმიტომ აკეთებს ოცნება, რომ ნაცმოძრაობას სახე შეუნარჩუნოს და გამოიყენოს ისინი საქართველოსთვის. ეს უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ქართველ ხალხს მანდატი „ქართული ოცნებისთვის“ იმისთვის არ მიუცია, რომ ნაციონალებს სახე შეუნარჩუნონ. მთელი ეს პროცესი რომ შეცდომაა, ეს, როგორც პროფესიონალმა, შემიძლია დავადასტურო. ეს რომ ცუდ შედეგს გამოიღებს საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

– შეცდომაა პროცესი, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებებს უკავშირდება და რომლის მხარდაჭერის სანაცვლოდაც სააკაშვილი პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამნისტიას ითხოვს? უმრავლესობის კომენტარებში გამოიკვეთა, რომ პოლიტიკურ ამნისტიაზე კოალიცია მუშაობს.

– შეცდომა დღეს შეიძლება რბილი ნათქვამი იყოს. ხელისუფლება ცდილობს კოჰაბიტაციას დანაშაულებრივ ნაციონალურ მოძრაობასთან და არა დაზარალებულ ქართველ ხალხთან. აი, აქ არის პრობლემა. სამწუხაროდ, არ ცდილობს კოჰაბიტაციას იმ პოლიტიკურ ჯგუფებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან, კონკრეტულ ადამიანებთან, რომლებიც ამ 9 წლის განმავლობაში დაზარალდნენ, რომლებიც იბრძოდნენ რეჟიმის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, არ ხდება იმ თემებზე მუშაობა, რომელზეც ამ ხალხის აზრი ისევეა იგნორირებული, როგორც ამ აზრებს იგნორირებს ნაცმოძრაობა უკეთებდა. ამიტომ ეს უკვე ზღვარია შეცდომასა და შეგნებულ მოქმედებებს შორის. ახლა ჩვენ ზღვარზე ვართ. თუ ეს პროცესი გაგრძელდა, უკვე შეცდომებზე კი არა, თანმიმდევრულ პოლიტიკაზე იქნება საუბარი და უკვე შეიძლება, უფრო მკაცრი შეფასებებიც მიეცეს ხელისუფლების მოქმედებებს, რომელიც ცდილობს, კვლავ ნაცმოძრაობაზე გაამახვილოს ყურადღება და არა კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფებსა და ადამიანებზე, რომლებსაც გამოკვეთილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიცია გააჩნიათ.

– ნაციონალების თქმით, „ქართული ოცნება“ ქვეყნის გარეთ სააკაშვილის მფარველების გავლენის ქვეშაა. რატომ ვერ მიდის ხელისუფლება მკვეთრ ნაბიჯებზე, რა ბორკავს მას?

– ჯერ ჯერობით ნაციონალური მოძრაობის ლანძღვა-კრიტიკის ფონზე ხდება იმ პროექტების რეალიზება, რომელიც ნაცმოძრაობამ ვერ განახორციელა, რაც ძალიან შემაშფოთებელი ტენდენციაა. ჯერ არ არის ის სიტუაცია, რომ საზოგადოებამ „სოს“ შეძახილი გააკეთოს, მაგრამ ტენდენციები ძალიან შემაშფოთებელია. თუნდაც ის ფაქტი ავიღოთ, რომ გადაწყვეტილებების მიღების ისეთივე დახურული ფორმატია, რომლითაც ნაცმოძრაობა გამოირჩეოდა. მაშინაც რამდენიმე ადამიანი შეიკრიბებოდა, მიიღებდა რაღაც გადაწყვეტილებას და მერე ცდილობდნენ ამ გადაწყვეტილების რეალიზების აპელირებას. დღეს საერთოდ ერთი ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას და დანარჩენი მის აღსრულება-გამართლებაზე მუშაობს. მაგრამ თავისთავად ის, რომ დახურულ სივრცეში ხდება გადაწყვეტილების მიღება, ეს პროცესი არ შეცვლილა. ისევ ვიღებთ მართვის იმავე ფორმებს, რომელიც მანამდე იყო. შესაბამისად, ისევ ის ხალხია ჩართული, რომლებიც 1 ოქტომბრამდე იყვნენ ჩართული. ეს ტენდენცია ძალიან შემაშფოთებელია და სახელმწიფოში შეიძლება ძალიან სერიოზული პრობლემები შექმნას.

– მოდით, რუსეთთან გადადგმულ ნაბიჯებზე ვისაუბროთ. ფაქტია, იქიდან შემხვედრი განცხადებები დიდად არ ისმის.

– არც გამოიკვეთება, რადგან რუსული მხარის ინტერესია, დაჩოქილი, თხოვნა-მუდარით მივიდეს მასთან ქართული სახელმწიფო. ამიტომ სრულებითაც არ ცდილობს რუსეთი, პარტნიორად წარმოაჩინოს ქართული მხარე; არ ცდილობს, სახე შეუნარჩუნოს ქართულ სახელმწიფოს, პირიქით, ის ცდილობს, რაც შეიძლება მეტად შეურაცხყოფილ მდგომარეობაში აღმოჩნდეს ქართულ მხარე და მსოფლიოს დასანახად ისეთი ფორმით წარდგეს, რომ გამოიწვიოს არა მარტო დახმარების სურვილის გაქრობა, არამედ გარკვეული ზიზღიც. ეს იყო ყოველთვის რუსული პოლიტიკის ინტერესი საქართველოში და მისი ტაქტიკა. ჩვენ გვაინწყდება ის 400-წლიანი გამოცდილება, რომელიც ქართულ-რუსულ ურთიერთობებში არსებობს. რუსეთი მუდმივად ცდილობდა, პრობლემები შეექმნა საქართველოში და შემდგომ მათი მოგვარების საბაბით ქართული მხარე მუხლზე დაჩოქილი ხლებოდა მოსკოვში თუ პეტერბურგში და მისთვის მფარველობა ეთხოვა. 400 წელია, ამ ტაქტიკით მოქმედებს რუსეთი და ამ ტაქტიკას არ ცვლის. დროა გამოვიდეთ საბჭოთა ადამიანის კომპლექსიდან; იმ მონური ფსიქიკის მდგომარეობიდან, რომელიც საბჭოთა ადამიანს ჰქონდა და, როგორც თავისუფალი საქართველოს თავისუფალ მოქალაქეებს შეეფერებათ, ისეთი შეფასებები გავაკეთოთ ამ პოლიტიკის მიმართ. რა გვგონია, რუსებს თუ გავუღიმებთ, ისინი ჩვენ მიმართ კეთილგანწყობილი გახდებიან?! არა, ბატონო. კიდევ უფრო მეტად დაგვაჭერენ წიხლს, ეს არის 400-წლიანი გამოცდილება. რუსეთი მუდმივად ცდილობს, იმ გეოგრაფიულ არეალში, რომელსაც საქართველო ჰქვია, სახელმწიფო არ შეიქმნას; რომ ელემენტარულად ეს იყოს ისეთი ტერიტორია, რომელიც რუსეთის გავლენის ქვეშ იქნება. ცუდია, თუ ჩვენ ისევ, როგორც საბჭოთა სისტემის დროს, ქვემოდან, მონის ფსიქიკიდან შევხედავთ რუსეთს და როცა გვიხაროდა, ქართული კულტურის დეკადები რომ იმართებოდა კრემლში. აი, ასე გვიხარია დღეს. თურმე ტაში დაგვიკრეს ამა თუ იმ კონცერტის დროს.

– რაზე მიანიშნებთ, „ერისიონის“ ცეკვა კრემლში არასწორი გადაწყვეტილება იყო?

– რატომღაც გვავიწყდება, რომ პრობლემა არ არის რუსსა და ქართველს შორის ურთიერთობის აღდგენა. ჩვენ წინაშე დგას ამოცანა: ქართულ-რუსულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში გამოვაჩინოთ სახელმწიფო ნება. აქ არ არის საუბარი კულტურის ენაზე, კულტურა არ არის პოლიტიკა და ა.შ. ბატონო, ომია. არის სახელმწიფო, რომელმაც დაგვიპყრო. ელემენტარულად, როცა სახელმწიფო ანსამბლი ხარ, სახელმწიფოს ინტერესების გამომხატველი ანსამბლი ხარ, ცოტა მეტი პატივისცემით უნდა მოეპყრა ამ ღირსებას, რასაც სახელმწიფო ანსამბლი ჰქვია. იური ბაშმეტის კონცერტი არ შეიძლება, არ გააპროტესტო. ადამიანს, რომელმაც მიულოცა აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებლობა და კონცერტები გამართა, ჩვენ ტაშით უნდა შევხვდეთ?! აი, აქ იწყება დემორალიზაცია. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოებრიობის აღქმა არ გვაქვს. ისევ საბჭოთა სისტემაა. ისევ ის დამოკიდებულებაა: ყველას უყვარს საქართველო. კომუნისტებსაც უყვარდათ საქართველო, რაიკომის მდივნებსაც, ოღონდ, როგორც ტერიტორია.

– რამდენად სერიოზული ოპოზიციაა ნაცმოძრაობა და რამდენად სწორ აქცენტებს აკეთებენ ივანიშვილის გუნდის წინააღმდეგ?

– ნაციონალები იმდენად სერიოზული ორგანიზაციაა, რამდენადაც ამის საშუალებას „ქართული ოცნება“ მისცემს. როგორც ასეთი, ნაციონალების არც იდეური ბაზა, არც სტრუქტურული მდგომარეობა და პერსონალური შემადგენლობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ეს ორგანიზაცია დამოუკიდებლად რაღაც სერიოზულ ძალას წარმოადგენდეს. იმდენად, რამდენადაც მას ოცნება აცხოვრებს და რამდენის საშუალებასაც მისცემს, აი, ისეთი იქნება ნაციონალური მოძრაობა.

– რუსეთთან მიმართებით მართებულად ისმის ნაციონალების კრიტიკა? დსთ-ში შესვლისკენ მიდის ქვეყანა და ა.შ.

– ნაციონალური მოძრაობის ფუნქციაა, ბოლომდე სიმართლე არ თქვას, ასე ვთქვათ, პროდასავლური ღირებულებების სანახევროდ სწორი ტენდენციები ჩამოაყალიბოს და, თავიანთი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ეჭვქვეშ დააყენონ ეს ღირებულებები. ოცნება კომფორტულად გრძნობს თავს ნაციონალებთან მიმართებით, რადგან ამ დროს ციცერონად და ზნეობის ეტალონად გამოიყურება. ამიტომ აძლევს „ქართული ოცნება“ ნაცმოძრაობას საშუალებას, როგორც ეროვნული შეფერადების ერთადერთი პროდასავლური ძალა, ასე წარმოჩნდეს სააკაშვილის გუნდი ქართველი საზოგადოების წინაშე. განსხვავება არის ის, რომ ნაციონალები სიტყვით რუსეთს ებრძვიან, საქმით რუსულ საქმეს აკეთებენ. რეალურად რუსულ საქმეს აკეთებენ და ქართულ პოლიტიკურ სპექტრში იმ ადამიანების ადგილს იკავებენ, რომლებიც სიტყვითაც და საქმითაც, საღი პოზიციიდან გამომდინარე, ელემენტარულად, ამ პოზიციას უკეთესად წარმოადგენენ. იქ, სადაც ნაციონალებმა გააკრიტიკეს ჯემალ ჭკუასელი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პოზიცია არ არის დადებითი მოსკოვში კონცერტთან დაკავშირებით, ჯემალ ჭკუასელის წინააღმდეგ მე ამ ხალხთან ერთად ვერ დავდექი. პირიქით, ჩემთვის ჭკუასელი უფრო ახლობელია, მიუხედავად თავისი პოზიციისა, ვიდრე ეს ნაძირლები, რომლებიც სიტყვით ერთს ამბობენ და რეალურად რუსულ ინტერესებს ემსახურებიან. აი, სწორედ აქ არის ნაციონალების ინტერესი. ამის გამო აცოცხლებენ ნაციონალებს. ნაციონალები, სარგებლობენ რა ოცნების მიერ შენიღბული უფლებით, რომ ისინი არიან ერთადერთი ოპოზიციური ძალა, მაქსიმალურად ცდილობენ, საქმე გააფუჭონ, რათა საკითხი დავიდეს პირად ანგარიშსწორებამდე და არა კონცეპტუალურ კამათამდე, დაპირისპირებამდე, რომელიც ქვეყანას აუცილებლად წინ წაიყვანს.

ირაკლი ალასანია „ბრიუსელის ფორუმში“ მიიღებს მონაწილეობას

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია „ბრიუსელის ფორუმში“ მიიღებს მონაწილეობას.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი ღონისძიებაზე სიტყვით გამოვა და საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე და თავდაცვის სფეროს პრიორიტეტებზე ისაუბრებს.

„ბრიუსელის ფორუმი“ სამი დღის განმავლობაში გაგრძელდება. გლობალური და ევრო-ატლანტიკური სივრცის გამოწვევებს, გავლენიანი ჩრდილოეთ ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები, არაფორმალურ გარემოში განიხილავენ.

ნიუსპრესი

ტელეკომპანია „იმედს“ ახალი გენერალური დირექტორი ჰყავს

ტელეკომპანია „იმედს“ ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დენ ბეიტსი დაინიშნა. იგი 30 წელზე მეტია სატელევიზიო ბიზნესში მუშაობს. აშშ-ში, სერბეთსა და რუმინეთში, სხვადასხვა ტელევიზიაში უმაღლეს მმართველ თანამდებობებს იკავებდა. ის იყო მთავარი მენეჯერი რამდენიმე ტელეკომპანიაში, რომელსაც თავად ფლობდა ან აფილირებული იყო ისეთ სოლიდურ მედიაქსელებში. ტელევიზიის ადმინისტრაცია თანამშრომლებს დენ ბეიტსი, გუშინ, „იმედის“ 10 წლის საიუბილეო ღონისძიებაზე წარუდგენს.

მედიანიუსი

ლევან ვეფხვაძე ნაციონალურ მოძრაობას მათი წევრების მოსყიდვაში ადანაშაულებს

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ლევან ვეფხვაძე ნაციონალურ მოძრაობას მათი წევრების მოსყიდვაში ადანაშაულებს. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლევან ვეფხვაძემ განაცხადა, კახა ბროკიშვილი ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობიდან იმიტომ გარიცხეს, რომ ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ის მოისყიდა და დაუფინანსა 100 ათას ლარად ჰელიოსისტემების საპილოტე პროექტი.

ლევან ვეფხვაძე აცხადებს, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ნაციონალური მოძრაობა საკრებულოს წევრების მოსყიდვას ცდილობს. რამდენიმე თვის წინ ნაციონალურმა მოძრაობამ ქუთაისის საკრებულოშიც ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წევრი გოგიტა გოგელაშვილი მოისყიდა და ამისთვის მას 5 ათასი ლარი გადაუხადეს.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დავით ნარმანია: „გუბერნატორის ინსტიტუტი უქმდება“

ნათია ხურცილავა

ინტერვიუ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით ნარმანიასთან:

– ბატონო დავით, დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიაზე მუშაობს თქვენი სამინისტრო. რას სთვაზობთ რეგიონში, სოფელში მცხოვრებ ადამიანს?

– მომზადებულია ადგილობრივი თვითმმართველობებისა განვითარებისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგია, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის დღეს არსებულ მმართველობის სისტემას. კონკრეტულად, ადამიანები, რომლებიც სოფლებში, თემებში, დაბებში ცხოვრობენ, ძალიან შორს არიან ადგილობრივი ხელისუფლებისგან. ხშირ შემთხვევებში არ შეუძლიათ მათ თავიანთი ხმა მიაწვდინონ ცენტრს არსებულ მოთხოვნილებებთან და საჭიროებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსური შესაძლებლობები ძალიან მწირია, აქედან გამომდინარე მათ არ შეუძლიათ მოაგვარონ ძალიან ბევრი ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობები ცენტრალურ ხელისუფლებას მიმართავენ პრობლემების მოგვარებისთვის, რაც დროში იჭიმება.

– თქვენი მოდელი როგორ არეგულირებს ამ ყველაფერს?

– ჩვენ მიერ შეთავაზებული მოდელის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობები იქნება არა დღეს არსებული რაიონის დონეზე, არამედ უფრო ახლოს. ქალაქები იქნებიან ცალკე ადგილობრივი თვითმმართველობები, სოფლების გაერთიანებები ანუ თემები ასევე ცალკე ადგილობრივი თვითმმართველობები იქნებიან. მათ ექნებათ დამოუკიდებელი ბიუჯეტი, თავიანთი ფუნქციები. ამ ბიუჯეტით ისინი შეძლებენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარებას, როგორიც არის სოფლებში წყალმომარაგებასთან დაკავშირებული საკითხები, ნარჩენების გატანასთან დაკავშირებული პრობლემები, გზების მოწესრიგება, სოფლის ამბულატორიების დაფინანსება და ა.შ. ასეთი საკითხების გადაწყვეტა ადამიანებს ადგილზე შეეძლებათ. – როგორც ვიცი, ორდონიანი ადგილობრივი თვითმმართველობა იქნება, მეორე დონის ფუნქცია როგორაა გაწერილი?

– მეორე დონე იქნება ადგილობრივი თვითმმართველობა სამხარეო დონეზე, ნაცვლად დღეს არსებული გუბერნატორის ინსტიტუტისა, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ცენტრის ცალკეული დავალების შესრულების ფუნქცია გააჩნია. იქნება სამხარეო დონის თვითმმართველობა, რომელსაც ექნება თავისი წარმომადგენლობითი ორგანო, საკრებული და აღმასრულებელი ორგანო. მხარეს უხელმძღვანელებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და მას ექნება თავისი ფუნქციები და ამ ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ბიუჯეტი. ისეთი ფუნქციები, რომელიც სოფლის, ქალაქის დონეზე ვერ განხორციელდება ანუ უფრო დიდი ფუნქციაა, მაგრამ არც მთლად ცენტრალური დონის ფუნქცია არ არის. ე.წ შუალედური ფუნქციები სამხარეო თვითმმართველობების მიერ განხორციელდება.

– გუბერნატორის ინსტიტუტი უქმდება?

– ამ ცვლილების მიღების შემდეგ გუბერნატორის ინსტიტუტი გაუქმდება და უფრო თანამედროვე, უფრო დემოკრატიული ფორმა იქნება შემოღებული.

– ვინ შეიძლება იყოს? პირველი კაცის ფუნქციები ვის ექნება, თუ შეიძლება ასე ითქვას? დღეს გუბერნატორს პრეზიდენტი ნიშნავს...

– მხარის აღმასრულებელი ორგანოს დაკომპლექტების წესი ასეთი იქნება: სამი ადამიანი შეირჩევა მხარის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ანუ საკრებულოს მიერ მთავრობას წარედგინება და მთავრობა სამი კანდიდატურიდან ერთს დაამტკიცებს.

– რა ერქმევა ამ ინსტიტუტს?

– მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

– სოფლის დონეზე ვინ იქნება მმართველი?

– სოფლებში შეთავაზებულია არ თვითმმართველობა, არამედ სოფლის კრებების ორგანიზების საკითხები, სადაც სოფელში მოსახლეობა შეიკრიბება, გამართავს კრებას, აირჩევს სოფლის წარმომადგენელს, რომელიც სოფლის მიერ არჩეული პირი იქნება და რომელიც სოფლის ინტერესებს გაატარებს. წარმომადგენლობითობა ყველა სოფელს ექნება. ამ ახალი კანონმდებლობის მიხედვით, სოფელს თავისი პრიორიტეტის გამოკვეთა გაუმარტივდება.

– ეს სისტემა ევროპული მოდელის გაზიარებაა, რომელსაც ჩვენს სინამდვილეს მოვარგებთ თუ...

– ძირითადი მიმართულება ევროპული გამოცდილებაა. საქართველო ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის ხელმომწერია, ამ ქარტიას 2004 წელს მოვაწერეთ ხელი. 2005 წლიდან ქარტია რატიფიცირებულია და შესასრულებლად სავალდებულოა. ამ თვალსაზრისით სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება არსებობს, გამოცდილებებზე დაყრდნობით და ჩვენთან არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით არის შემოთავაზებული ეს მოდელი. ეს მოდელი რადიკალურად ახალგამოგონილი ველოსიპედი ნამდვილად არ არის.

– პრეზიდენტი ხშირად აცხადებს, რომ წინა მთავრობის მიერ დაწყებული პროექტები შეჩერდა, რომ ინფრასტრუქტურა არ ვითარდება, შესაბამისად, ტურისტი არ შემოვა. თქვენი პასუხი როგორია?

– მე პრეზიდენტს მოვუწოდე, რომ კონკრეტული პროექტი დაასახელოს, რომელიც შეჩერდა. თუ ფიქრობენ ისინი, რომ ჩვენ ლაზიკა გავაჩერეთ, ლაზიკა დაწყებული არც იყო. ეს იყო მითიური მონაგონი, რომელიც ნახატების გარდა, არანაირი დოკუმენტაციის სახით არ არსებობდა. ის ტერიტორია საინტერესოა პორტისთვის. თუ პორტის მშენებლობა იქნება, გაგრძელდება პორტთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გამართვა. მანამდე ანაკლიაში ნაპირდაცვით სამუშაოებს, წყალმომარაგების და საგზაო სამუშაოებს ვატარებთ. ვიმეორებ, ყველა პროექტი გრძელდება. გადავხედეთ მხოლოდ რამდენიმე პროექტს, რომელმაც მიმართულება შეიცვალა. პროექტების კორექტირება მოხდა.

– კონკრეტულად?

– მაგალითად, ბათუმში ოქროს ქვიშების პლაჟის მშენებლობა იყო დაგეგმილი. ჩვეულებრივი პლაჟი გაკეთდება და ნაპირსამაგრი ღონისძიება განხორციელდება. ასევე თბილისის ხიდის პროექტი, რომელიც რევიზიის რეჟიმშია. ძალიან ძვირადღირებული პროექტია, საკითხი ბოლომდე არ იყო შესწავლილი, ამ ხიდის გადების შემდეგ, როგორი იქნებოდა ნაკადი სამტრედიის ქუჩაზე. კიდევ ერთი ხიდი, რომელიც მცხეთაში უნდა აშენებულიყო, წინააღმდეგობაში მოდიოდა იუნესკოს სტანდარტებთან. თუ ეს ხიდი აშენდებოდა, მცხეთა დაკარგავდა იუნესკოს სტატუსს, ამიტომ გაიმართა ამ საკითხზე მსჯელობა. დონორ ორგანიზაციასთან გამართული მოლაპარაკებით რესურსები სხვა მიმართულებით იქნება გადატანილი, იქ, სადაც ყველაზე მეტი საჭიროებაა. სხვა დანარჩენი პროექტები გრძელდება.

– თქვენ განსხვავებული სტრატეგია შეიმუშავეთ?

– ჩვენ სხვა სტრატეგია არ გვაქვს, ჩვენ მართვის განსხვავებული სტილი გვაქვს. განსაკუთრებულ აქცენტს გამჭვირვალობაზე ვაკეთებთ. პროექტების ეფექტიანობასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე. პროექტები, რომელიც წინა ხელისუფლების მიერ იყო ინიცირებული, გრძელდება. დღესაც ძალიან ბევრ უბანზე სამუშაოები მიმდინარეობს. წინა ხელისუფლების პირობებში პრეზიდენტი ყველგან დადიოდა და გასახსნელ თუ გაუხსნელ ობიექტებზე ლენტებს ჭრიდა. დღეს ასე არ არის, თუმცა, სამუშაოები მიმდინარეობს. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ჩვენს ვებგვერდზე პროექტების ჩამონათვალი დეტალურად ნახოს. ამინდები ხელს გვიწყობს და სამუშაოებიც ფართოდ გაიშალა. ავტომაგისტრალის მშენებლობაზე სამუშაოები ტარდება. შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე ტენდერები გამოვაცხადეთ ძალიან ბევრი მიმართულებით. ზოგიერთი მიმართულებით უკვე გამოვლენილია ტენდერში გამარჯვებული კომპანიები. წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესების კუთხით 25 ახალი მუნიციპალიტეტი და სამი დაბა დავიმატეთ წელს, სადაც წყალმომარაგების გაუმჯობესება დაიწყება. სამუშაოები ძალიან აქტიურად მიმდინარეობს. ასევე 200 მილიონი ლარი დამატებით არის გამოყოფილი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, რომლის ადმინისტრირების წესიც შეცვლილია. ასეთი პროექტების მართვა ქაოტურად ხდებოდა. ამ წესის მიხედვით მუნიციპალიტეტებმა უკვე წარმოადგინეს პროექტები. არსებობს სამთავრობო კომისია, რომელიც ამ პროექტებს გადაარჩევს და ყველაზე პრიორიტეტულს, 200 მილიონი ლარის მოცულობით, საქართველოს მთავრობა დააფინანსებს. ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე მიმდინარე კვირის განმავლობაში ტრენინგები ტარდება მთლიანად ქვეყნის მასშტაბით. მომდევნო კვირიდან დაიწყება ამ პროგრამის ადმინისტრირება, რომლისთვისაც 50 მილიონი ლარია გამოყოფილი.

– ბატონო დავით, ავტობანის მშენებლობის გაგრძელდება თუ არის გათვალისწინებული?

– ავტობანის სამუშაოებზე წელს 300 მილიონ ლარამდე დაიხარჯება. მშენებლობა ორ მონაკვეთზე აგარა-რუისის მონაკვეთსა და ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის შემოვლითი გზის მონაკვეთზე ამჟამადაც მიმდინარეობს. წელს პროექტირება დასრულდება სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთის და ამ სამუშაოებზეც გამოცხადდება ტენდერი. წელს სამ სხვადასხვა მონაკვეთზე ძალიან აქტიური სამშენებლო სამუშაოები იქნება, მათგან ორ მონაკვეთზე ახლაც მიმდინარეობს. წინა კვირას ვიმყოფებოდი იმერეთში და ეს სამუშაოები ვნახე.

– ხშირად ისმის, რომ ახლი დაგებული გზა ძალიან სწრაფად ფუჭდება. რა შეიძლება ამის მიზეზი იყოს, თუ შეისწავლეთ ეს საკითხი?

– ეს კითხვა აქტუალურია და ამიტომ ვაკეთებთ ჩვენ აქცენტს ხარისხზე. როდესაც ტენდერზე ვაჭრობა იყო, კომპანიები ფასს აგდებდნენ და იაფად ხარისხიანი გზის დაგება ვერ ხდებოდა. მეორე, ჩვენდა სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების დროს, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც კომპანია ერთ გზას აკეთებდა და დამატებით მას სხვა რაღაცასაც ავალებდნენ არაოფიციალურად. გზისთვის განკუთვნილი ფული საკუთარი თავისთვის უნდა მოეპარა და სხვა რაღაცა უნდა დაეფინანსებინა. ამ შემთხვევებზე კომპანიებმა საჩივრები შემოიტანეს.

– ამ დარღვევებს სწავლობს შესაბამისი უწყება?

– შიდა აუდიტის სამსახური სწავლობს, ასევე მასალები იგზავნება საგამოძიებო ორგანოებში. 30-მდე სხვადასხვა საქმე გვაქვს გადაგზავნილი ზოგი მთავარ პროკურატურაში, ზოგი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში.

– კონკრეტული რეგიონის ინფრასტრუქტურის განახლება თუ იგეგმება?

– ასეთი რეგიონი მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში იმერეთის რეგიონია. კერძოდ, წყალტუბო და მიმდებარე ტერიტორია, რომელიც საკურორტო, ტურისტული ტერიტორიაა. გარდა ამისა, კახეთში დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა გავაგრძელოთ და დავასრულოთ.

– კახეთში დასრულდა დაზარალებულთა დახმარების პროცესი?

– თითქმის ბოლომდეა მიყვანილი. 3 ათას ოჯახამდეა დარჩენილი, ვისაც უახლოეს მომავალში უნდა მიეცეს კომპენსაცია.

– თქვენ ვიზიტები გქონდათ დასავლეთში უცხოელ ინვესტორებთან თუ შედგა კონკრეტული მოლაპარაკებები?

– ინტერესი მაღალია უცხოური კომპანიების მხრიდან. ჩვენთანაც და ეკონომიკის სამინისტროშიც მოდიან. აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

– მსხვილ ინვესტორებზეა საუბარი?

– ყველა კომპანიაზე ინფორმაცია ეკონომიკის სამინისტროს აქვს. ჩვენი მხრიდან ახალი კომპანიები გამოჩნდნენ, რომლებიც ჩვენს ტენდერებში მიიღებენ მონაწილეობას, რაც მისასალმებელია, რადგან კონკურენცია იზრდება.

გიორგი მარგველაშვილი: „ნუ გახდებით ბენდუქიძის პოლიტიკური სიბინძურის მძევლები“

ნათია ხურცილავა

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებს მოუწოდებს, კახა ბენდუქიძის პოლიტიკური სიბინძურის მძევლები არ გახდნენ.

– მე მოვუწოდებ სტუდენტებს, ნუ გახდებით ბენდუქიძის პოლიტიკური სიბინძურის მძევლები და თუ მაინც გააგრძელებთ ამ საკითხის პოლიტიზირებას, მე თქვენზე მაინც ვიზრუნებ. უკვე ვმუშაობ თქვენზე, ვქმნით იმაზე უკეთეს მატერიალურ ბაზას, ვიდრე აქამდე იყო. – განაცხადა მარგველაშვილმა.

გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის თავის სახელფასო დანამატს №200 სკოლას გადაურიცხავს.

როგორც ცნობილია, მინისტრების ხელფასი 6300 ლარით განისაზღვრა.

– მე ვფიქრობ, რომ ეს ხელფასი ადეკვატურია, თუმცა, როცა მე მუშაობა დავიწყე, ხელფასი 2800 ლარი მქონდა ხელზე, ახლა რაღაც დაემატა, თუმცა არ ვიცი ზუსტად, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ამ დანამატს მთლიანად მე-200 სკოლას გადავურიცხავ, რადგან ეს არის ძალიან კარგი სკოლა. როცა მინისტრი გავხდი, პირველად სწორედ ამ სკოლაში მივედი და ყველაზე მეტი პოზიტივი იქედან მივიღე, – განაცხადა მარგველაშვილმა.

მისივე თქმით, როცა მინისტრი ქვეყანაში ასეულობით მილიონ ლარს განკარგავს, მაშინ 6300 ლარი ბევრი ნამდვილად არ არის და ეს სრულიად ადეკვატური ხელფასია.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან კომენტარი თეა წულუკიანმა გააკეთა. იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილს ვენეციის კომისიის დასკვნასთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ერთნაირი ხედვა აქვთ.

წულუკიანის განცხადებით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს სამჯერ შეხვდა და სწორედ გუშინ იყო მესამე შეხვედრა.

წულუკიანის თქმით, დღევანდელ შეხვედრაზე ისაუბრეს, თუ ვინ როგორ კითხულობს ვენეციის კომისიის დასკვნას.

– რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ჩვენ ერთნაირი ხედვა გვაქვს, ეს არის მედიის მიერ სასამართლო პროცესების ვიდეო-ჩანაწერების ტრანსლირება, მოსამართლე ერთი მხრივ გახსნის სასამართლო პროცესს და მეორე მხრივ, არ დაზიანდება. აღნიშნული ცვლილება კანონში შეა. გარდა ამისა, შევთანხმდით, რომ თავის მხრივ მოსამართლეთა კონფერენციაზე თავმჯდომარე მოსამართლეებს კენჭისყრის უფლება ექნებათ, მაგრამ იუსტიციის სამინისტრო რჩება თავის პოზიციაზე, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი რვა მოსამართლიდან მხოლოდ ერთი დარჩება, დანარჩენები კი შეიცვლებიან, დარჩება მხოლოდ ის, რომელიც კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

მინისტრის განმარტებით, კუბლაშვილთან შეხვედრა მშვიდობიანი და კონსტრუქციული იყო.

– პრემიერ-მინისტრის დავალების გათვალისწინებით, პირადად მე ყველა ზომა მივიღე, რომ ის პოზიცია, რომელიც პარლამენტში გავიდოდა, წინასწარ ყოფილიყო შეთანხმებული. ჩვენ გვინდა, რომ ორშაბათამდე მთავრობის სხვა წევრების მონაწილეობით გაფართოებული შეხვედრა გაიმართოს, თუმცა, დროის თვალსაზრისით, რამდენად მოვახერხებთ მე და ბატონი კოტე ამ ყველაფერს, ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით, – განაცხადა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ხვალ, მოსამართლეებთან შეხვედრისას, კიდევ ერთხელ დაადასტურებს, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში თავისუფალი მართლმსაჯულების დამკვიდრებას ჩაეყრება საფუძველი.

– ჩვენ ხვალ ვხვდებით მოსამართლეთა კორპუსს, ეს არის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა და მე მოვუწოდებ ყველა მოქმედ მოსამართლეს, ამ შეხვედრას დაესწროს და თავისი კრიტიკა გამოხატოს. პირადად ჩემთვის ეს შეხვედრა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ რეფორმის გატარებისთვის იუსტიციის სამინისტროს მიერ გადადგმული ნაბიჯები ეფექტური იყოს. მე ველოდები თავისუფალი აზრის გამოხატვას და მოსამართლეებს მინდა დავუდასტურო ჩვენი მთავრობის ხედვა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში საქართველოში თავისუფალი მართლმსაჯულების დამკვიდრებას ჩაეყრება საფუძველი, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

სალომე ზურაბიშვილი – „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი?

თამარ ნინიძე

პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა სიტყვიერი დასტური მისცა ექსპერტთა კლუბის წევრებს, რომ პრეზიდენტი პირდაპირი წესით იქნება არჩეული დ მას პარლამენტი არ აირჩევს. პარლამენტის მიერ პრეზიდენტის არჩევის იდეა ვახტანგ ხმალაძემ გაახმოვანა. არის ვარაუდი, რომ ეს იდეა რესპუბლიკელებმა ხმალაძეს ათქმევინეს და ამით ნიადაგი მოსინჯეს, თუ როგორ აღიქვამდა საზოგადოება ამ პოზიციას. თუმცა მალევე, როგორც მოსალოდნელი იყო კიდეც, ამ იდეას გაცილებით მეტი მოწინააღმდეგე აღმოაჩნდა, ვიდრე მომხრე, ამიტომ რესპუბლიკელებმა უკან დაიხიეს. მართალია მათ უკან დახევა მოუწიათ, მაგრამ კოალიციაში მათი ფარული კონკურენტები – თავისუფალი დემოკრატებიც არ აღმოჩნდნენ რესპუბლიკელებზე უკეთეს მდგომარეობაში, მათაც უკან დახევა მოუწიათ. ირაკლი ალასანიამ შიდაპარტიულ შეხვედრაზე პრეზიდენტობის სურვილის გახმოვანების შემდეგ ივანიშვილისგან შენიშვნა მიიღო. ზოგადად თუ განვიხილავთ, შიგნით, პარტიაში პოზიციების მოსინჯვას, პრობლემა ალასანიას თანაპარტიელებთან კონსულტაციაში არ არის, მაგრამ კოალიციის ინტერესებიდან გამომდინარე, ივანიშვილმა ეს თვითნებურ საქციელად ჩაუთვალა და თითი დაუქნია.

დღეს კოალიციის შიგნით არსებული მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, სამი კანდიდატი იკვეთება, ხმალაძე, რომელიც თავად ივანიშვილმა დაასახელა სავარაუდო და შესაძლო კანდიდატად, ალასანია, რომლის უკან დახევის მიუხედავად, მისი პერსონალური შანსები მაინც დარჩა და ახალი სახე და დროებით მივიწყებული სალომე ზურაბიშვილი. გასულ კვირას ზოგიერთი მედია საშუალება იუწყებოდა, რომ კოალიცია ქართული ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატი შესაძლოა სალომე ზურაბიშვილი იყოს. საინფორმაციო სააგენტო „პირველთან“ ამ საკითხზე კომენტარის დროს საქართველოს გზის თავმჯდომარემ მურვანიძემ განაცხადა, რომ სალომე ზურაბიშვილი ცოტა ხნის წინ ჩამოსული იყო საქართველოში და ის რამდენჯერმე შეხვდა ივანიშვილს. საქმე ის არის, რომ სალომე ზურაბიშვილი გაეროში ირანის საკითხებზე ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელია, მას კონტრაქტის ვადა მაისში ეწურება, მალე საქართველოში დაბრუნდება და პოლიტიკაში სრულფასოვნად ჩაერთვება, მურვანიძის თქმით, ზურაბიშვილის კვალიფიკაციიდან გამომდინარე, მას ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია მუშაობა, საგარეო საქმეთა მინისტრად თუ სხვა რანგში.

ძნელი სათქმელია, რა მიზანს ემსახურებოდა გარკვეული მედია საშუალების მხრიდან სალომე ზურაბიშვილის კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელება, ეს სიმართლესთან ახლოა თუ ფანტაზიის თემაა, მაგრამ საინტერესოა ის, რომ თურმე ნაციონალებიც კანდიდატ ქალზე ფიქრობენ. ამ ვითარებაში ძალიან საინტერესო კონკურენციის ველს მივიღებთ. მართალია „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს ჯერ საჯაროდ არ განუცხადებია მისი წინასაარჩევნო გეგმების შესახებ, მაგრამ ადრე გაცხადებული ჰქონდა, რომ მისი პარტია ყველა დონის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

აქვე საინტერესოა ისიც, რომ საპრეზიდენტო არჩევნები რუსეთისა და დასავლეთის კანდიდატებს შორის წარიმართება. თუ ადრე, ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს და მერე კი სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, რუსული საფრთხობელის როლი იგორ გიორგაძეს ჰქონდა მორგებული, „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, ქართულ პოლიტიკაში დიდი ხნის წინ მივიწყებული ვალერი ხაბურზანია გამოჩნდა, მოსკოვიდან ჩამოვიდა ჯერ მხოლოდ პირადი საქმეების მოსაგვარებლად, მაგრამ საკუთარი პოლიტიკური გეგმები მაინც გაახმოვანა. ხაბურზანიას ძალიან აღიზიანებს, როცა პარლამენტის კარის გახსნის საქმეს აბრალებენ, მაგრამ, როგორც ჩანს, იმისთვის მზად არის, რომ რუსული საფრთხობელის როლი მოირგოს. სავარაუდოდ, ის საპრეზიდენტო არჩევნებშიც მიიღებს მონაწილეობას. თუმცა, საინტერესოა ის, რომ ახლახან „აირიმ“ კვლავ გამოაქვეყნა ახალი სოციოლოგიური კვლევები. ამ კვლევებით ირკვევა, რომ გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა მართალია რუსეთის ხელისუფლებასთან დიალოგის მომხრეა, მაგრამ ამავე დროს საბედნიეროდ ჯერ კიდევ რჩება მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ევროსტრუქტურებში ხედავს მხოლოდ საქართველოს მომავალს და არა ევრაზიულ გაერთიანებაში. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ სწორედ დასავლურ და რუსულ კანდიდატებს შორის იქნება მთავარი ბრძოლა საპრეზიდენტო არჩევნებზე. ახლა წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ხაბურზანია იქნება რუსულ ფლანგზე. დღეს სხვა გავლენიანი პოლიტიკოსებისთვის რუსული ორბიტა არა მარტო მიმზიდველი არ არის, არამედ საკმაოდ სახიფათოცაა მათივე პოლიტიკური პერსპექტივისთვის. ნოღაიდელის მდგომარეობაში ყოფნა არავის სურს, ხაბურზანია კი უფრო მეტად სხვის თამაშშია ჩაბმული, მას დამოუკიდებლად ქართულ პოლიტიკურ სივრცეში დამკვიდრების სურვილი არ უნდა ჰქონდეს, ამაზე ირონია სარი შვილმაც მიანიშნა. ხაბურზანიამ იცის, რომ მისი შანსები ისეთივე მცირეა, როგორც მისი იდეები საქართველოს რუსულ გავლენაში დაბრუნებასთან დაკავშირებით, მაგრამ ის მაინც ჯიუტად რუსეთუმეობას „აწვება“. ვნახოთ, საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვეა დარჩენილი და შესაძლოა მოულოდნელობებისგან არ ვიყოთ დაზღვეული.

გულნაზ ამონაშვილი შვილის მკვლელობის გამოძიებას თავიდან მოითხოვს

გულიკო ბალაძე

ჯიდევ ეითი დაღუპული ახაღგაზრდა, გამოუძიებელი საქმე და შვილმკვლელი დედა, რომელმაც საკუთარ შვილის ხეჟიმის პირობებში სამახსოვრო ვეი იპოვა და სამახსოვრდამცავებს ახლა სთხოვს საქმის გამოძიებას, გულნაზ ამონაშვილია.

გულნაზ ამონაშვილი მისი შვილის მკვლელობის საქმის გამოძიების განახლებას მოითხოვს. 2008 წელს მოკლეს დაცვის პოლიციელი ვასილ ამონიშვილი, რომლის საქმე დღემდე გამოუძიებელია. ვასილ ამონაშვილის მკვლელობის ფაქტზე ბრალი არავის წაყენებია და, მით უმეტეს, საქმე სასამართლოში არ წარმართულა. გულნაზ ამონაშვილი აცხადებს, რომ მისი შვილის მკვლელობის საქმეში პოლიციელები, ძმები მერაბ და ვაჟა ბერძენიშვილები მონაწილეობდნენ.

შვილმოკლული დედა გულნაზი ამონაშვილი საუბრობს იმ გარემოებებზე, რა გარემოებებშიც მისი ერთადერთი ვაჟი დაიღუპა.

– ჩემი შვილი ვასილ ამონიშვილი მარჯანიშვილის მეტროსთან მდებარე საჯარო რეესტრში დაცვაში მუშაობდა. 2008 წლის 11 ივლისს ჩემი შვილი თავის ძმაკაცთან და საცოლესთან ერთად წავიდა ასევე თავისი ძმაკაცის დავით დობრაშვილის დაბადების დღეზე, რომელთანაც ერთად მუშაობდა. იქ იყვნენ მერაბ და ვაჟა ბერძენიშვილები. სუფრაზე მერაბ ბერძენიშვილთან მოუვიდა შელაპარაკება.

თურმე მერაბ ბერძენიშვილი ერთ დღეს მისულა საჯარო რეესტრში და ჩემს შვილს არ შეუშვია. რიგი იყო და არ გაუტარებია. მერაბ ბერძენიშვილს უჩვენებია საბუთი, ორგანოს მუშაკი ვარო. მერაბ ბერძენიშვილი მუშაობდა ისანი-სამგორის მესამე განყოფილების პოლიციელად. არ ვიცი, ახლა სად მუშაობს. ჩემმა შვილმა რომ არ შეუშვა რეესტრში სხვებზე წინ, დაუმახსოვრებია. იმ სუფრაზე ამოუცვნია და უთქვამს, შენ ის ბიჭი არ ხარ, რეესტრში რომ არ შემიშვიო? ამას გიყვებით იქიდან გამომდინარე, პირველად რაც ითქვა, თორემ ვერაფერს ვამტკიცებ. თავიდან ბოლომდე ყველაფერი გაყალბებულია. ვის არ მივმართე, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე, რადგან ძმები ვაჟა და მერაბ ბერძენიშვილები პოლიციელები არიან. ჩემი შვილი დაბადების დღეზე თავის საცოლესთან ერთად იყო მისული. როგორც ერთ-ერთი მოწმის ჩვენებიდან ირკვევა, ჩხუბი ეზოშიც გაგრძელებულა, რადგან ვასილ ამონაშვილმა კამათის შემდეგ, საცოლესთან ერთად დატოვა სუფრა. ჩხუბი ეზოშიც გაგრძელებულა.

ამონაწერი ერთ-ერთი მოწმის ჩვენებიდან:

– შელაპარაკების შემდეგ ვასილ ამონიშვილმა თავის საცოლესთან ერთად დატოვა სუფრა და ჩავიდა ეზოში სახლში წასასვლელად. თუმცა, მიუხედავად ამისა, მერაბ ბერძენიშვილი აყენებდა მას სიტყვიერ შეურაცხყოფას და იწევდა მისკენ. მას აკავებდნენ ეზოში ჩასული სუფრის წევრები, ხოლო მანქანაში ჩამჯდარ ამონიშვილს ხელი დაუწვა სიგარეტით მერაბ ბერძენიშვილის ძმამ ვაჟა ბერძენიშვილმა.

როგორც გულნაზ ამონაშვილი აცხადებს, ვაჟა ბერძენიშვილი მუშაობს თბილისში, ისანი-სამგორის შს სამმართველოს ნომერ პირველ განყოფილებაში, ხოლო მისი ძმა მერაბ ბერძენიშვილი მუშაობს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში ჩიტაძის ქუჩაზე.

გულნაზ ამონაშვილის ინფორმაციით:

– მომხდარი ჩხუბის შემდეგ ჩემი შვილი იქიდან წამოვიდა. თავისი საცოლე სახლში მიიყვანა და უკან დაბრუნდა.

– რატომ დაბრუნდა?

– თავის თანამშრომელთან უნდა გაერკვია, რა უნდოდა ბერძენიშვილს, რატომ მეჩხუბაო. მისი მეგობარი გაგიჟებული ყოფილა, ჩემს ოჯახში სტუმარი როგორ ვერ დავიცავიო. ჩემი შვილი მისულა და უკითხავს, რა უნდოდა, რაზე მაგინებდაო. ბერძენიშვილს ხმა გაუგია, ჩემი შვილი რომ მიტრიალდა (ეს ძმები პათოლოგები ყოფილან), ძმები ჩამოსულან და ატეხილა ჩხუბი. აღარ მინდა ხოლმე გახსენება... როგორც მაშინ თქვეს ბიჭებმა და პირველად გამოვიდა ხმა, იმას გიყვებით, თორემ დღემდე ვერაფერი დავამტკიცე. ამ მთავრობის იმედი მაქვს, მაგრამ სადაცაა, ესეც მეკარგება.

ჩხუბში ამ ბიჭს ჩამოუტანია რკინის კასტიტი, ჩემი შვილისთვის თავში ჩაურტყამს. ჩემი შვილი მაშინვე დავარდნილა, გათიშულა. მის ძმაკაცს, ვის დაბადების დღეზეც იყო, წაუყვანია საავადმყოფოში. ეს მოხდა დაახლოებით საღამოს 9 თუ 10 საათზე. თითქმის სამი საათის შემდეგ, ჩვენ, ღამის 1 საათზე დობრაშვილმა დაგვირეკა, ვასიკომ ძალიან ბევრი დალია, სადარბაზოში წაიქცა, თავი დაარტყა და საავადმყოფოში გვყავსო.

ჩემ შვილს 10 ლიტრა რომ დაელია, ისე მაინც არ დათვრებოდა, წაქცეულიყო. როცა მივედით, ჩემი ქალიშვილი შეიყვანეს, დედა არ შემოვიდესო. ვასიკო თითქმის მკვდარი იყო, გათიშული იწვა. მე-5 საავადმყოფოში რომ მიუყვანიათ, ექიმს სასწრაფოდ ჟანგბადი მიუცია და ჩემი შვილი მოუსულიერებია. სუნთქვა კი დაიწყო, მაგრამ თავი გათიშული ჰქონდა. უკან ფუძე ჰქონდა ჩაჭყლეტილი. ექსპერტიზაში წერია, რომ ბლაგვი საგნის დარტყმით დაზიანდა. იქიდან გადავიყვანეთ მიხაილოვის საავადმყოფოში. ოპერაციის გაკეთება არ უნდოდათ, მაგრამ მე გადავარიე, მაინც გავაკეთებინე, ვიფიქრე, იქნებ რაღაც მაინც ეშველოს-მეთქი. სუნთქავდა და როგორ უნდა გაჩერდე დედა. 5 დღე იცოცხლა...

– ლაპარაკობდა და რაიმე გითხრათ?

– არა, არა, შვილო. ნეტა ელაპარაკა. 5 დღე აპარატზე იყო და იმის შემდეგ ვეღარ... ისე დავასაფლავეთ, იქიდან არავინ მოსულა. არც ის თავისი თანამშრომელი. რამდენჯერ დავსვი კითხვა და პასუხს არავინ მცემს. საავადმყოფოში რომ ვიყავით, ჩემი შვილის საცოლეც იქ იყო (სახელისა და გვარის თქმა არ მინდა). იმ წუთში ვერ მივაქციე ყურადღება. თურმე აქ მიდის დაკითხვები (ის ბიჭები და მათი მამა იმის მცდელობაში იყვნენ, რომ არავის შეშლოდა და არ ეთქვა, რომ ბერძენიშვილები იქ იყვნენ). ამ დროს დავინახე, ჩემი შვილის საცოლეს ურეკავენ. ის ეუბნება, ბიჭო, შენ ხომ არ გაგიჟდი, სუფრაზე რაც იყო, უნდა ვთქვაო. სუფრაზე მსხდომთაგან ერთადერთი მოწმე ჩემი შვილის საცოლე იყო, თორემ დანარჩენები იტყოდნენ, წაიქცაო და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი. ამიტომ ჩემი შვილის საცოლეს ეუბნებოდნენ, სუფრაზე ჩხუბი რომ მოხდა, არ თქვაო. ეს ხომ ზეწოლაა. გამომძიებელს ვეუბნებოდი, ისინი დაკითხეთ, ვინც ჩემი შვილის საცოლეს დაურეკა. ამოიღეთ ტელეფონის ნომერი. ვინ დაურეკა-მეთქი, მაგრამ მპასუხობდნენ, ყველაფერი აირევა, აწყობილი აქვთო.

– რა აქვთ აწყობილიო?

– გამოძიება როგორც ჰქონდათ წარმართული. თქვენი შვილის საცოლე რომ დავკითხოთ, ყველაფერი აირევაო.

– რა უცნაური პასუხია.

– უცნაური ისაა, მეგონა, ამდენი ამბავი არ დამჭირდებოდა სიმართლის გასარკვევად. ფაქტი სახეზე იყო, ბიჭი მოკვდა. ჩემი ქმარი ომის ვეტერანი იყო, 35 წელი ორგანოში მუშაობდა. ჩემი ქმარიც 2004 წელს გარდაიცვალა. 2008 წელს შვილი მომიკლეს. ვერ წარმომედგინა თუ ასეთი დამოკიდებულება იქნებოდა, ესენი ვინ ყოფილან?! ერთხელაც არ დამიწყევლია ჩემი შვილის მკვლელი. ვამბობდი, ღმერთო, აპატიე, თუ მათ ეს აფექტის გამო მოუვიდა-მეთქი. გულში ვფიქრობდი და მენანებოდა ციხეში ჩასასმელად. თურმე რა ციხე, რის ციხე. ციხე კი არა, გამაცამტვერეს, დავაადდი, გავუბედურდი მათთან ჭიდილში. პროკურორთან რომ მივდიოდი, მანამდე არ მიღებდა, სანამ არ ვიჩხუბებდი.

– ფაქტი სად მოხდა?

– ისანი-სამგორის ტერიტორიაზე.

– ისანი-სამგორის პოლიციელების საქმეს ისევ ისანი-სამგორის პოლიცია იძიებდა?

– დიახ. იქ მივდიოდი და ვჩხუბობდი. მისმენდნენ... ვეუბნებოდი, როგორ ვერ დაიჭირეთ, ან რატომ დობრაშვილი არ დაიჭირეთ-მეთქი. გამომძიებელი მპასუხობდა, რა ვქნა, დობრაშვილი არ ამბობსო. თუ არ დაიჭირე, როგორ იტყვის. თქვენი შვილი რომ ყოფილიყო, არ დაიჭერდით-მეთქი? შენ ახლა ისე მიყურებ, მიზეზი რომ გქონდეს, 20 წელს მისცემდი, მაგრამ მართალი ვარ-მეთქი. ხმას არ იღებდნენ.

– პროკურორი და გამომძიებელი ვინ იყო?

– გამომძიებელი პატარა ბიჭი იყო, ჩოფლიანი. პროკურორი კი – ნინო ციხისელი. ამ საქმის მთავარი პროკურორი, მგონი, გაგნიძე იყო. ჩოფლიანი მეუბნებოდა, რა ვქნა, გულიკო დეიდა, ზემოდან არის ზეწოლაო. იმათი ნება რომ არ იყოს, აქამდე დაჭერილი უნდა ყოფილიყვნენო. ჩოფლიანს ყოველთვის ვეუბნებოდი, რომ ბერძენიშვილები დაკითხეთ-მეთქი. ბერძენიშვილები ამ საქმესთან დაკავშირებით არაფერ შუაში არ არიანო. ამ დროს სუფრის წევრებს, ყველას, ჩვენება ში ეწერათ, რომ ბერძენიშვილები ჩხუბის დროს იქ არ იყვნენ. გამომძიებელს ვეკითხები, რატომ წერია, რომ ბერძენიშვილები იქ არ იყვნენ, ვინ დაუსვა ეს შეკითხვა-მეთქი. გამომძიებელი არ ვარ, მაგრამ კითხვა დამებადა. ვინ დასვა ეს შეკითხვა, ბერძენიშვილები იყვნენ თუ არა სუფრაზე. 26 ადამიანი იყო, 25-ს არ კითხულობენ, ოცდამეექვსეს კითხულობენ და ხაზს უსვამდნენ, რომ ბერძენიშვილები არ იყვნენ, ბერძენიშვილები არ იყვნენო.

– პირველად ვინ თქვა, რომ იქ ბერძენიშვილები იყვნენო.

– ბერძენიშვილები იმ კორპუსში ცხოვრობდნენ, ეს ითქვა. მე თვითონ ვაბრალებდი ბერძენიშვილებს იმიტომ, რომ ჩხუბი მათთან მოუვიდა.

გია გვაზავა: „აფხაზეთის ომი წაგებისთვის იყო დაგეგმილი“

შორენა მარსაგიშვილი

1993 წლის 15-18 მარტს სოხუმზე განხორციელებულ შტურმზე ჩვენში კიდევ დიდხანს ილაპარაკებენ. 20 წლის წინ ქართველებმა სოხუმში სასწაული ჩაიდინეს. ფაქტიურად დაკარგული ქალაქი უკან დაიბრუნეს. მაშინდელ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სამხედროებისთვის წინ წასვლის ბრძანება რომ მიეცათ, დღეს აფხაზეთში ალბათ სხვა ვითარება იქნებოდა, მაგრამ პოლიტიკურმა ხელისუფლებამ სხვა გადაწყვეტილება მიიღო. რითაც მოწინააღმდეგემ იხეირა.

20 წლის წინანდელ ამბავზე ჩვენში კიდევ ბევრჯერ ისაუბრებენ. ამ თემაზე „ახალი თაობაც“ არაერთხელ დაწერს ალბათ. ჩვენ წინა ნომერშიც გესაუბრეთ ამ თემაზე. ამჯერად 20 წლის წინანდელ ბრძოლებს გია გვაზავა და დავით გვაძაბია იხსენებენ.

გია გვაზავა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

– თუკი ამ მოვლენებს ისტორიულ ჭრილში შევხედავთ, მე ვიტყოდი, რომ ეს არის ქართველების ერთ-ერთი წარმატებული ბრძოლა რუსული იმპერიის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ რუსებისავე დანატოვარი და უვარგისი იარაღით, ანუ ფაქტიურად შიშველი ხელებით გაუმკლავდნენ ქართველი ვაჟკაცები დაქირავებულ არმიას, ათასი რჯულის გადამთიელთა ბანდებს, კაზაკებს და რუსეთის რეგულარულ ჯარს. ომის პერიოდში ასეთი მწარე ხუმრობაც დადიოდა აფხაზეთში – რუსებს თავისი ჩამოწერილი იარაღით ვებრძვითო. ასე რომ, რუსულმა არმიამ 15-18 მარტს ბრძოლა წააგო იმ ბიჭებთან, რომელთა უმეტესობამ მაშინ პირველად აიღო იარაღი ხელში. რა თქმა უნდა, თავის მოტყუება იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ ჩვენ რუსებს ომს მოვუგებდით, მაგრამ მისი დამთავრება უფრო ღირსეულად შეიძლებოდა.

– ბატონო გია, ასეთი წარმატებული მოგერიების შემდეგ გაუგებარია, რატომ დაბრუნდნენ ქართველები ისევ გუმისთის პოზიციაზე, ანუ სოხუმის შესასვლელთან? რით უნდა აიხსნას ეს?

– იმით, რომ ეს ომი დაგეგმილი იყო წაგებისთვის, ანუ სოხუმის დაცემა მოხერხდა ისევ და ისევ ჩვენი მეთაურების „წყალობით“, თორემ მეომრებს იქ ბრძოლა არ წაუგიათ. ბრძოლა წააგეს საქართველოს მაშინდელმა პირველმა პოლიტიკურმა და სამხედრო (რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ) პირებმა.

– 15-18 მარტის ქართველთა შეუპოვარი შეწინააღმდეგების შემდეგ რუსები მიხვდნენ, რომ საჭირო იყო ქართველთა განიარაღება. 27 ივლისს ქ.სოჭში გაფორმდა ხელშეკრულება, რასაც ზუსტად 2 თვის შემდეგ მოჰყვა სოხუმის დაცემაც... რატომ დათანხმდა ამ ხელშეკრულების გაფორმებას აფხაზეთის პოლიტიკური ელიტა?

– პოლიტიკა არის ის, როცა შენს ხედვას მოჰყვება შესაბამისი ქმედება. მე ან აფხაზეთში მცხოვრებ რომელიმე პოლიტიკოსს რომ ჰქონოდა ქმედუნარიანობის ბერკეტი და ძალაუფლება, ჩვენს ხედვას და სიტყვას მოჰყვებოდა გააზრებული ნაბიჯები – პოლიტიკური, სამხედრო და ა.შ, მაშინ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენი თანხმობით მოხდა ეს. რა თქმა უნდა, ჩვენ არ დავთანხმდით. მეტსაც გეტყვით. სოხუმის დაცემამდე 3 კვირით ადრე აფხაზეთიდან ჩამოსულ ჯგუფთან ერთად შევედი ე.შევარდნაძესთან. ჩვენ ვერ მოვახერხეთ მისი დარწმუნება იმაში, რომ წესით, ამ მდგომარეობას აფხაზეთის დაკარგვა უნდა მოჰყოლოდა. ვთხოვეთ, რომ სასწავლო წლის დაწყება მაინც გადაედოთ, რათა ხალხის დიდი ნაკადი არ დაბრუნებულიყო. საერთოდ, თუ საომარი მოქმედებების ზონაში ქალები და ბავშვები არიან, მეომარი მეომრის ფუნქციას კარგავს, ის ოჯახის გადარჩენაზე ფიქრობს. ესეც წინასწარ გათვლილი ტაქტიკა იყო.... ადამიანმა, რომელსაც ქვეყნის ბედი ებარა, ასეთი პასუხი გაგვცა: – „პანიკას ნუ ტეხავთ! ყველაფერი მოლაპარაკებული და გადაწყვეტილია, და რუსებიც ისე გააკეთებენ ყველაფერს, როგორც მოვილაპარაკეთ“. კანცელარიიდან გამოსვლის შემდეგ გადავწყვიტე რომელიმე არხის მეშვეობით მაინც მიმემართა ჩვენი თანამოქალაქეებისთვის, რომ თავი შეეკავებინათ აფხაზეთში დაბრუნებისგან. კარებში შემხვდა ჟურნალისტი თამრიკო მოლაშვილი, ჩამწერა, მაგრამ ეტყობა ვიღაცის მითითებით არ გადასცეს ტელევიზიით. აბსულუტურად ყველაფერი „კონტროლის“ ქვეშ იყო. ეს იყო მართვადი ქაოსი. სამწუხაროდ, ჩვენი პრობლემა ჩვენ, აფხაზეთელ ხალხს, გადასაწყვეტად არ გვანდეს. ცენტრიდან ხდებოდა მართვაც და გადაწყვეტილებების მიღებაც რუსეთის მიერ ხელდასხმული ადამიანების, ანუ მეხუთე კოლონის მიერ. მესამე ძალა რომ არ ყოფილიყო, არანაირი კონფლიქტიც არ იქნებოდა, იმიტომ რომ გასაყოფი იქ არაფერი იყო. მატერიალური და საერთოდ, ყველანაირი სიკეთე აფხაზებს, როგორც მცირერიცხოვანი ეთნოსის წარმომადგენლებს, ისედაც მირთმეული ჰქონდათ.

– დღეს აფხაზური მხარე ცდილობს გენოციდის ფაქტების გაქარწყლებას, მათ შორის გაგრის სტადიონზე ჩადენილი ეთნოწმენდის ფაქტების უარყოფას, მაშინ როცა საერთაშორისო ორგანიზაციებმაც კი აღიარეს. იმავდროულად მზადყოფნას გამოხატავენ ახალი ხელისუფლების მიერ შეთავაზებული ურთიერთობების განახლებისთვის. არის თუ არა საჭირო გენოციდის უარყოფა ახალი ურთიერთობების დამყარებისთვის და როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში აფხაზეთის საზოგადოებრიობა?

– ჩვენ ყოველთვის მზად ვიყავით და ახლაც მზად ვართ ურთიერთმონანიებისა და მეგობრობის ხელის გაწოდებისთვის. არის კი მათი ორიენტირი აქეთკენ მომართული? თუ ისევ ცდილობენ თავიანთი ხაზის გატარებას – ჩვენ არანაირი სისასტიკე არ ჩაგვიდენია, უბრალოდ ქართველი „სისხლისმსმელები“ განვდევნეთ აფხაზეთიდან. გაგრის ტრაგედიის ამსახველი კადრები კი ნამდვილად არსებობდა და აფხაზეთის უმაღლეს საბჭოშიც უნახავთ ომის პერიოდში. ეს იყო 45 წუთიანი კასეტა. ვინ გადაიღო არ ვიცი, მაგრამ ჩეჩნებმა მიჰყიდეს ქართველებს. მე პირადად, როცა დავაპირე მისი ყურება, შუქი გამოირთო და გადავწყვიტე თბილისიდან ჩამოსვლის შემდეგ მენახა. დაბრუნებისთანავე მოვიკითხე, ბიჭებმა მითხრეს უშიშროებამ წაიღოო. მაშინ მისი კოპირების საშუალება არ იყო. მივედი აფხაზეთის უშიშროების მაშინდელ თავმჯდომარესთან იური კეშელავასთან და ვთხოვე. მან მითხრა თბილისში გავაგზავნეო. ამის მერე კასეტის კვალს ვერავინ მიაგ-

ნო. ცხადია, რუსეთის „კგბ“-ს არ სჭირდებოდა შემზარავი ფაქტების ამსახველი მასალის არსებობა. ბევრ ჩემს ახლობელს ეს კასეტა ნანახი აქვს, მათ შორის, აფხაზსაც. დავუშვათ, გაგრის ტრაგიკული მოვლენები არც ყოფილიყო, ან ომის შემდეგ დაღუპული 5000 მშვიდობიანი მოქალაქის სიაც რომ არ არსებობდეს, ისიც კი საკმარისია გენოციდის აღიარებისთვის, რომ ჟიული შარტავა მთელი თავისი ამალით დახვრიტეს აფხაზებმა, ან თუნდაც ღვთისმსახურების დახვრეტა, იცით, ხომ, ვისაც ვგულისხმობ – მამა ანდრია ყურაშვილს და ეროვნებით აფხაზ იპოდიაკვან იური ანუას. საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით, გენოციდის დანაშაულად ითვლება არა თუ დახვრეტა, დევნაც კი პოლიტიკური, ეროვნული, კულტურული ან რელიგიური ნიშნის საფუძველზე. ჩემის აზრით, შერიგების ერთადერთი რესურსი არის სიმართლე და სიყვარული, სხვანაირად არაფერი არ გამოვა. სოხუმში მთელი ომის პერიოდში ცხოვრობდა 2200 აფხაზი, მათ შორის იყვნენ მათი პოლიტიკური ლიდერებიც, ღრმა ნაციონალისტები, მაგალითად ალ.გოგუა – „აიდგილარას“ პირველი თავმჯდომარე, ოლეგ შამბა – ინჟინერ-მშენებელი და სხვები, რომლებიც ანტიქართული განწყობებით გამოირჩეოდნენ. მათთვის ხელი არავის უხლია, პირიქით, მათივე მოთხოვნით უზრუნველყავით ქალაქიდან მშვიდობიანი გამგზავრება. 15-18 მარტის ბრძოლებში ერთმანეთს დაპირისპირებული ორი ჩემი მოგვარე დაიღუპა – აფხაზი ოსკარ და ქართველი გია გვაზავები. აი, ეს არის შერიგების ყველაზე დიდი რესურსი – ზიარად დაღვრილი ქართველების და აფხაზების სისხლი. ეს არის სიმართლე და ღმერთიც იქაა, სადაც სიმართლეა და არა ძალმომრეობა.

დავით გვაძაბია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ომის პერიოდში გულრიფშის რაიონის გამგებელი.

– ბატონო დავით, 15-18 მარტს მოწინააღმდეგის იერიშის ბრწინვალე მოგერიების შემდეგ ქართველები რომ კონტრშეტევაზე გადასულიყვნენ, შეიცვლებოდა თუ არა ომის სურათი?

– ძნელი სათქმელია. არ დაგავიწყდეთ, იმ დროს საქართველოს ეომებოდა რუსეთი ე.წ. აფხაზურ გვარდიას, ჩრდილოკავკასიელ კონფედერატებსა და ბაგრამიანის ბატალიონს ამოფარებული. 15-18 მარტს ჩვენმა მეომრებმა და მეთაურებმა უმაღლეს დონეზე მოიგერიეს მტრის თავდასხმა, ანუ რუსეთის სპეციალური დანიშნულების საიერიშო ბატალიონების კბილებამდე შეიარაღებული 1000-ზე მეტი კაცის შემოტევა. ჩვენ იერიშზე არ გადავსულვართ, ჩვენ მოსახლეობას ვიცავდით. ეს მოხდა ღამით, მათ მოპარვით გაარღვიეს წინახაზი. ქართველები იბრძოდნენ თავგამეტებით, ბოლომდე თავგანწირვით. დღეს ისინი გმირები არიან ყველანი. მე ქედს ვიხრი მათ წინაშე და კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ მათ ახლობლებს, უფალმა გაანათლოს მათი სულები. მომდევნო დღეს ქალაქის დაცვაში მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩაება, ყველაზე უმცროსი იყო 15 წლის, ყველაზე უფროსი კი – 48 წლის – ეს ჩემს თვალწინ ხდებოდა. მე იმ დროს გულრიფშის რაიონის თავდაცვის საბჭოს ვხელმძღვანელობდი და ვიცი, რომ ესენი იყვნენ არა გამოცდილი მეომრები, არამედ მშვიდობიანი მაცხოვრებლები, მოხალისეები, რომლებიც საქართველოს კონსტიტუცურ საზღვრებს იცავდნენ. როგორც სოხუმის და სოხუმის რაიონის მოსახლეობა, მათ ავანგარდში იყო რაიონის გამგეობა, აქტივი, მოკლედ, ქუდზე კაციცა და ქალიც! გულრიფშის რაიონში იყო ორი სამხედრო ჰოსპიტალი – რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს და სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის საავადმყოფოს ბაზაზე. ჩვენი რაიონის 5 ბატალიონი იბრძოდა იმ დღეებში. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამცველთა შორის საგრძნობლად სჭარბობდა გულრიფშელების რაოდენობა, რომელთა შორის იყვნენ საბჭოთა არმიის კარგად გაწვრთნილი და ტექნიკურად განათლებული ელიტარული, რჩეული ოფიცრები. არასოდეს დამავიწყდება, როგორ ემზადებოდა 16 მარტს მე-6 ბატალიონი წინახაზზე გასასვლელად. ბმპ-ში ჩემი მეგობარი ვახტანგ ლოჩოშვილი ჩაჯდა. ის გულრიფშის ბატალიონის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი იყო. იმ დღეს სამხედრო ტექნიკის აღდგენასა და მომზადებაში ეხმარებოდა. მე ვკითხე: – ვახტანგ, შენ რატომ მიდიხარ? მას გვერდით 16 წლის დისშვილი კობა ჯანელიძე მიუჯდა. მე დისშვილს ხელი მოვკიდე და ბმპ-დან გადმოვიყვანე – არაა საჭირო შენი იქ წასვლა-მეთქი... იმ დღეს ვახტანგი დაიღუპა... ასეთი გმირები ბევრნი იყვნენ, ძალიან ბევრნი. სიცოცხლეს არ ზოგავდნენ, შეუპოვრად მიიწევდნენ მშობლიური ქალაქის დასაცავად. ეს ქართული სულია. ქართველისთვის სამშობლოზე უწინარესი არასოდეს არაფერი ყოფილა. დავით აღმაშენებლის მეფობიდან მოყოლებული გარკვეული დროის მონაკვეთში ქართველი მამაკაცების აღრიცხვისას უთითებდნენ „მეომარი“ და „უომარი“. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ „უომარი“ არც ისე სასურველი ეპითეტი იქნებოდა ქართველი კაცის მაშინდელ „პასპორტში“.

– ბატონო დავით, ქართველები იცავდნენ სამშობლოს, მაგრამ აფხაზებიც ხომ იგივეს ამბობენ – ჩვენც სამშობლოს ვიცავდითო...

– მაგრამ ჩვენ ხომ სხვა ერის წარმომადგენლები გვიტევდნენ აფხაზებთან ერთად – ჩრდილოკავკასიელები, დაქირავებულები, რუსები, კაზაკები. კი ბატონო, გასაგებია, აფხაზეთის მიწა როგორც ჩვენია, ასევე აფხაზებისაცაა, მაგრამ ჩვენ ომი არ დაგვიწყია. საუბედუროდ, ის მხარეცა და ზოგიერთი ქართველიც ქართულ მხარეს ომის დაწყებაში ადანაშაულებს, თუმცა ეს ასე არ არის. ჩვენ მაინც ხომ კარგად ვიცით ომის წინა პერიოდი, თუ როგორ მიდიოდა ყველაფერი ომისკენ. არძინბა ტრიბუნიდან გვეუბნებოდა, მე თქვენ პირველებს გაგასროლინებთ იარაღსო. რაში გვადანაშაულებენ – ტანკებით შემოვიდნენ ქართველებიო? ჩვენ ხომ ჯარი არ შეგვიყვანია. შემოვიდა რამდენიმე ერთეული ტექნიკა შსს უწყებიდან წესრიგის დასამყარებლად, რომელიც არძინბამ თავად მოითხოვა რკინიგზის მაგისტრალის დასაცავად. თუმცა მერე ეს ყველაფერი ომის გაჩაღების მიზეზად გამოიყენა. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ქვეყანას აქვს უფლება მოახდინოს სამხედრო და თუგინდ შეიარაღებული ძალების დისლოკაცია იმ ტერიტორიაზე, სადაც ხედავს საფრთხეს და საჭიროებას. აფხაზეთი სხვა სახელმწიფო იყო? არ იყო საქართველოს ტერიტორია? კი, ბატონო, ჯობდა, რომ არ მომხდარიყო ასე, მაგრამ მოდით, გავიხსენოთ, რას გვიმზადებდნენ ჩვენი მტრები? პროვოკაციას წლების მანძილზე ამზადებდნენ – „მეორე ფერგანას“ მოწყობით გვემუქრებოდნენ.

– თუ ასეა, პირიქით, პროვოკაციას არ უნდა ავყოლოდით და აგვერიდებინა თავსმოხვეული ომი, რახან მათთან შეწინააღმდეგების პოტენციალი არ გაგვაჩნდა.

– რომც არ გვეპასუხა, „ფერგანა“ მაინც იქნებოდა. უმოქმედობა შეიძლება უარესიც ყოფილიყო. მაგრამ, უნდა ვაღიარო, რომ უკეთ მოქმედება შეიძლებოდა – უფრო დაფიქრებულად და მომზადებულად, ტექნიკური და საბრძოლო თვალსაზრისით, პოლიტიკურადაც. ომის პერიოდის ასეთი სიტყვები თუ გახსოვთ – „როცა ქართველები არხეინობდნენ, აფხაზები იარაღს ყიდულობდნენო“? ჩვენ, დეპუტატებს, სხვებსაც აფხაზეთში და დანარჩენ საქართველოში არძინბას მიერ შექმნილი აფხაზური გვარდიის შესახებ ყველა ინფორმაცია გვქონდა, სად იყვნენ განლაგებული, სიები, მანქანების ნომრები; განგაშის შემთხვევაში როგორ უნდა ემოქმედათ, ისიც ვიცოდით, მაგრამ ამაზე სათანადო რეაგირება არყოფილა.

– რატომ? ხომ არ იყო ეს ჩვენი უნიათობის ბრალი?

– არა! ჩვენ რატომ და ვის წინააღმდეგ უნდა გვეყიდა იარაღი? ბატალიონების შექმნა მხოლოდ ომის დაწყების შემდეგ დავიწყეთ ისიც თავდაცვისთვის, ჩვენი მოსახლეობის დასაცავად. ჩვენ ყველანაირად ვარიდებდით თავს კონფლიქტს, ყველა ღონეს ვხმარობდით, რომ შეტაკებამდე საქმე არ მისულიყო. პროტესტს პარლამენტის სხდომის დატოვებით გამოვხატავდით და არა ძალის დემონსტრირებით. დღესაც ასეთი პოზიცია გვაქვს. ომის მიერ განადგურებული ადამიანი კიდევ იმას ფიქრობს, როგორ დაელაპარაკოს აფხაზს. თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ მათზე უკვე რამე არის დამოკიდებული....

– ბატონო დავით, ამას წინათ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელმა გააჟღერა, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობების განახლების ალბათობა არსებობს. როგორ ფიქრობთ, არის ეს რეალური რესურსი? ამის პირობები მაშინაც ხომ ჰქონდათ მათ, როდესაც შევარდნაძის შემდეგ გამოიცვალა ხელისუფლება.

– ეს ურთულესი საკითხია. ამის რეალური რესურსი არსებობს თუ არ არსებობს, დარწმუნებულიც რომ ვიყოთ, რომ ეს მცდელობა უშედეგო იქნება, მაინც უნდა მოვსინჯოთ. პოლიტიკური ბერკეტებითა თუ სახალხო დიპლომატიით, (სახალხო დიპლომატიის სახელმწიფო დონეზე ამოქმედებას ვგულისხმობ და არა ცალკეული პიროვნებების ინიციატივას), საერთაშორისო არენაზე სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებით იქნება ეს თუ რა ფორმით – არა აქვს მნიშვნელობა, ყველა საშუალება უნდა ვცადოთ.

ყოფილი პატიმრის სიცოცხლე საფრთხეშია

შორენა გონგლაძე

ბევრი ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუფლების შეცვლიდან ექვსი თვის შემდეგაც ჯი ვეი ხეხხდება ჰროჯუჰატუჰის გამახითული მუშაობა. მიუხედავად ახალი ხელისუფლების დიდი ამბიციებისა, ჩოგოჩც ჩანს, გასაჩვევი და დასაღაგებელი სამახითალდამცავ უნყებებში ჯეჰ ჯიდევ ბევრია. თუმცა, ფაქტი, ჩომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, ჯბილაშვილის უნყების მისამახითით ბევრ ჯითხვას აჩენს. საინტეჩესოა, ეს ახის ჰროჯუჰატუჰის გუღგჩილობა ფაქტის მიმახით თუ ამ ქმედებას ჯიდევ სხვა სახელიც შეიძლება ეჩქვას.

საქმე ეხება „ობიექტივის“ ხელმძღვანელის, ირმა ინაშვილის მიერ ყოფილ პატიმარ გოდერძი ჯოლოხავასთან ჩაწერილ ინტერვიუს და ამის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს, რაზეც ირმა ინაშვილმა გუშინ, „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

ირმა ინაშვილის განცხადებით, ყოფილ პატიმარ გოდერძი ჯოლოხავას დაცვა დაენიშნება, ვინაიდან დღესდღეობით ჯოლოხავას სიცოცხლე საფრთხეშია. ინაშვილის თქმით, ყოფილ პატიმარს ორი დღის წინ თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ. ინაშვილი მომხდარს რამდენიმე ხნის წინ მასთან ჩაწერილ ინტერვიუს უკავშირებს, სადაც ჯოლოხავა ბევრ ყოფილ მაღალჩინოსანს კანონდარღვევასა და ძალადობაში ამხელდა. უფრო კონკრეტულად კი, ინტერვიუში ჯოლოხავა ბაჩო ახალაიას, პარლამენტარ დავით საყვარელიძეს, მეგის ქარდავას, ოლეგ ფაცაციას და სხვა პირებს პატიმრების ცემისა თუ წამების დამკვეთებად ასახელებს.

– ჯოლოხავამ ჩემთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ციხეში ყოფნის პერიოდში ის სასჯელს იხდიდა გლდანის მე-8 დაწესებულებაში, ბაჩო ახალაია და ციხის ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლები ავალებდნენ სხვა პატიმრების მკვლელობას. ასევე ჯოლოხავამ აღნიშნა, რომ ციხეში ხშირად შედიოდა მაშინდელი პროკურორი და მოქმედი დეპუტატი დავით საყვარელიძე, რომელიც მას ფიზიკურად უსწორდებოდა და ასეთი გზებით ისინი ცდილობდნენ სასურველი აღიარებითი ჩვენებების მიღებას პატიმრებისგან, – აცხადებს ინაშვილი. მისივე განცხადებით, ჯოლოხავა იყო ძალიან მნიშვნელოვანი მოწმე, რომელიც, ბუნებრივია, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. დასახმარებლად ინაშვილმა პროკურატურას მიმართა, თუმცა ჯოლოხავას დაცვაზე კბილაშვილის უწყებისგან უარი მიიღო, მეტიც, ამ დრომდე ჯოლოხავა მოწმედაც კი არ ყოფილა დაკითხული.

– ცხადია, ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ინტერვიუ და ინფორმაცია, ამიტომ ჩვენ გოდერძი ჯოლოხავას დაცვის მიზნით მივმართეთ მთავარ პროკურატურას, ჩავაყენეთ საქმის კურსში მთავარი პროკურორი, იუსტიციის მინისტრი და ვთხოვეთ ჯოლოხავას ჩასმა მოწმეთა დაცვის სპეციალურ პროგრამაში, რადგანაც გამოიკვეთა ძალიან დიდი პირთა წრე, ამიტომ მთავარი მოთხოვნა იყო ჯოლოხავას უსაფრთხოება. სამწუხაროდ, ჩვენ მივიღეთ ასეთი განმარტება, რომ ვიდრე ოფიციალურ ჩვენებას არ მიცემდა ჯოლოხავა, დაცვის გამოყოფაზე საუბარი არ შეიძლებოდა, მხოლოდ ამის შემდეგ გამოუყოფდნენ მას დაცვას, ეს პროცესი გაგრძელდა ერთი თვე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ადვოკატმა რამდენჯერმე წერილობით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას გამოეყო პროკურორი, გამომძიებელი, არ მოხდა ჯოლოხავას დაკითხვა.

ამის შემდეგ გვითხრეს, რომ ექსპერტიზაზე მიდის ვიდეომასალა და შემდეგ დაკითხავდნენ მას. ჩვენი არაერთი მცდელობისა, მიგვეღწია შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურის მხრიდან გამოეყოთ დაცვა ჯოლოხავასთვის, ამას ვერ მივაღწიეთ. ორი დღის წინ მოხდა შემზარავი ფაქტი, ჯოლოხავას თავს დაესხნენ საკუთარი საცხოვრებელი სახლის წინ, ეს მოხდა ღამის ორ საათზე, მას სასტიკად გაუსწორდა თავდამსხმელი, დაზიანება მიაყენა თავის არეში რის შედეგადაც ტვინის შერყევა მიიღო, დაზიანებული აქვს თირკმლები, ფეხი, ამჟამად ის იმყოფება ინგოროყვას კლინიკაში. მას შემდეგ, რაც ჩვენ მედიას მივაწოდეთ ინფორმაცია ამის შესახებ, დამიკავშირდა პროკურატურის წარმომადგენელი, რომელმაც მითხრა, რომ აუცილებლად დაკითხავენ ჯოლოხავას მოწმედ და საქმეს მიეცემა მსვლელობა. ჩვენი ინფორმაციით, საქმე აღძრულია ცემის ფაქტზე და ვფიქრობთ, რომ ეს კიდევ დამძიმდება, რადგანაც მცდელობა ჰქონდა სიცოცხლის ხელყოფას. მას თავდამსხმელმა პირდაპირ უთხრა, რომ თუ არ გაჩერდება და ლაპარაკს არ შეწყვეტს, გაანადგურებენ მის ოჯახს. ეს ყველაფერი დაკავშირებულია სწორედ იმ ინტერვიუსთან, რომელიც მე მომცა ჯოლოხავამ. მე, როგორც ჟურნალისტი, ვგრძნობ პასუხისმგებლობას და ძალიან ვწუხვარ, რომ სამართალდამცველმა ორგანოებმა ვერ იმუშავეს თუ არ იმუშავეს სათანადოდ, რათა დაცული ყოფილიყო მოწმის სიცოცხლე და უსაფრთხოება. მე ვფიქრობ, რომ ამ თავდასხმაზე პასუხისმგებელი არის საქართველოს მთავარი პროკურატურა და ის პასუხისმგებელი პირები, რომლებმაც არ დაკითხეს და არ გამოყვეს დაცვა ჯოლოხავასთვის, – აცხადებს ირმა ინაშვილი.

ზურა ჯაფარიძე: „აგრარულ უნივერსიტეტს პრემიერის მითითებით უპირისპირდებიან“

შორენა გონგლაძე

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ზურა ჯაფარიძე აგრარულ უნივერსიტეტთან დაკავშირებულ მოვლენებში ხელისუფლების პოლიტიკურ ინტერესს ხედავს. მისი განცხადებით, ხელისუფლება არა უნივერსიტეტს, არამედ ერთ კაცს – კახა ბენდუქიძეს უპირისპირდება.

– აგრარულ უნივერსიტეტთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ცალსახად პოლიტიკურად მო-

ტივირებული გადაწყვეტილება, აქ არის დაპირისპირება ერთ პიროვნებასთან, ეს არის კახა ბენდუქიძე და ეს ჩანს ძალიან ნათლად. ეს გამოჩნდა ასევე პრემიერის პრესკონფერენციის შემდეგაც, რომ ეს არის პირადად მისი გადაწყვეტილება; გამოჩნდა ასევე პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებიდანაც, ანუ ზოგადად ხელისუფლებას პრობლემები აქვს კახა ბენდუქიძესთან და არა უნივერსიტეტთან, ეს არანაირ კავშირში არ არის განათლების ხარისხთან. სამართლებრივი გზა არსებობს მხოლოდ ერთადერთი, რომ ეს გადაწყვეტილება იქნეს გასაჩივრებული და ამის შემდეგ აღუდგეთ ავტორიზაცია. მაგრამ ცუდი ის არის, რომ ამ ყველაფერში უნივერსიტეტი ერთ წელს დაკარგავს, – აცხადებს ჯაფარიძე.

ჯაფარიძის აზრით, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, დაუჭერს თუ არა ნაციონალური მოძრაობა საკონსტიტუციო ცვლილებებს, ამ თემის აჟიტირებით ხელისუფლება სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაფარვას ცდილობს.

– საკონსტიტუციო ცვლილებები, რაც უნდათ რომ განახორციელონ, ის უფლებამოსილება პრეზიდენტს მოკლე ხანში ისედაც აღარ ექნება, მას ეწურება უფლებამოსილების ვადა. ამიტომ ამ საკითხის ისე წარმოჩენა, თითქოს საქართველოში ეს არის დღეს ყველაზე კრიტიკული საკითხი, იმ დროს, როდესაც ახალი ხელისუფლება პრაქტიკულად ვერ ასრულებს ვერც ერთ დაპირებას, ისევე, როგორც ეკონომიკის მდგომარეობა არის ძალიან მძიმე და ყველა პარამეტრით არის გაუარესებული, ამ ყველაფრის ფონზე რაღაცის წარმოჩენა, რაც თვენახევარში ისედაც კარგავს ყველანაირ აზრს, რომ თითქოს ჩვენი პოლიტიკური კარიერა და მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, ჩვენ ეს არ გვაწუხებს და თუ მათი გადმოსახედიდან ეს ასეა, კი ბატონო, იყოს ასე. რაც შეეხება შინაგან საქმეთა მინისტრის პარლამენტში ვიზიტს, ჯაფარიძე ამბობს, რომ როგორც ნაციონალურ მოძრაობას, ასევე პირადად მას აქვს კითხვები, რომელი პასუხიც სურს, რომ მიიღოს.

– ჩვენ ამასთან დაკავშირებით გავივლით რიგ საკითხებს და შევჯერდებით იმ კითხვებზე რომელიც უნდა დავუსვათ, მაგრამ პირადად მე მაინტერესებს გუნავას საქმესთან დაკავშირებით კითხვები, კურტანიძესთან დაკავშირებით, რადგან, ჩემი აზრით, ის არ უნდა იკავებდეს პრორექტორის თანამდებობას, – აცხადებს ჯაფარიძე.

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს, ამ საკითხის კომენტირებისას ჯაფარიძე ამბობს, რომ ამ ხნის მანძილზე, მათ რუსეთისგან ლანძღვისა და შეურაცხყოფის მეტი ჯერჯერობით არაფერი მოუსმენიათ.

– რუსეთთან დაკავშირებით მე ოპტიმიზმის საფუძველს ჯერჯერობით ვერაფერს ვხედავ, ჩვენ ვხედავთ მხოლოდ იმას, რომ ონიშენკო აგზავნის მხოლოდ რაღაც კომისიებს და ყოველ კვირას ახალ-ახალი განცხადებებით ჩვენ გვაყენებს შეურაცხყოფას. მან თქვა, რომ ქართველები არიან ზარმაცები, ასევე ერთ-ერთ გადაცემაში მან განაცხადა, რომ ქართველები არიან მუქთახორები და თუ ისინი არ იქნებიან მუქთახორები, მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვთ შანსი, რომ დაბრუნდნენ რუსულ ბაზარზეო და ასე შემდეგ; იმ ფონზე, როდესაც ანქვაბი ჩადის რუსეთში და აცხადებენ, რომ მათ უნდა აღნიშნონ აფხაზეთის დამოუკიდებლობის წლისთავი, როდესაც რუსეთი აქვეყნებს საგარეო პოლიტიკის დოქტრინას, სადაც წერია, რომ მათ უნდა დაუჭირონ მხარი და გააძლიერონ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ამ ფონზე რა პოზიტივზეა ლაპარაკი, ჩემთვის ეს გაუგებარია. ჩვენ რუსეთისგან მხოლოდ და მხოლოდ ვიღებთ შეურაცხყოფებს და სხვას არაფერს.

სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციის დელეგაცია საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს შეხვდა

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციის დელეგაცია, რომელსაც მისი გენერალური მდივანი ნავაფ ალ სლეიბი ხელმძღვანელობს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს შეხვდა და სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს ბაზაზე საჩვენებელ ღონისძიებას დაესწრო.

სტუმრებმა მაშველების პროფესიული მომზადების დონე დადებითად შეაფასეს და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი გამოთქვეს. ღონისძიების დასასრულს, გენერალურმა მდივანმა სამაშველო ბაზის ხელმძღვანელს თავისი ორგანიზაციის სიმბოლიკიანი სამახსოვრო მედალი გადასცა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან. შეხვედრისას მხარეები ურთიერთთანამშრომლობისა და საქართველოში სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განვითარების საკითხებზე იმსჯელებენ.

სტუმრები ასევე ეწვევიან შსს-ს „112-ის ქოლ-ცენტრს“ და რუსთავის მომსახურების სააგენტოს.

სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციის მიზანია, სამოქალაქო თავდაცვის ქვედანაყოფების შექმნისა და აღჭურვის ხელშეწყობა, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად ქვეყნებს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის განვითარება, და კატასტროფებით დაზარალებული ადამიანებისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების უზრუნველყოფა.

საქართველო ამ ორგანიზაციის წევრი 1995 წელს გახდა.

ნიუსპრესი

პოლიციელებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე შსს-მ 4 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, სამართალდამცველებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე 4 პირი – დავით ეჯიბია, გიგა იობაშვილი, ბექა ხოფერია და ერასტი საბანაძე დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებულებმა 2013 წლის 14 მარტს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ვაკე-საბურთალოს VII განყოფილების უბნის უფროს ინსპექტორ-გამომძიებლებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

„თამარაშვილის ქუჩაზე ათამდე ნასვამმა პიროვნებამ პოლიციელების მისამართით აგრესია გამოხატა. სიტყვიერი შეურაცხყოფის მიუხედავად, პოლიციის თანამშრომლები სიტუაციის განმუხტვას ცდილობდნენ, მაგრამ ერთ-ერთმა ნასვამმა პიროვნებამ სამართალდამცველს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. პოლიციელმა კი ვითარების განმუხტვისა და თავდასხმის მოგერიების მიზნით ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღით, მცირე ინტერვალით ჰაერში ორჯერ გამაფრთხილებელი გასროლა განახორციელა“ – ნათქვამია სამინისტროს ინფორმაციაში.

დაკავებულებს ბრალი სსსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარედგინათ, რაც 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დაკავებულთაგან, დავით ეჯიბია 3– ჯერ არის ნასამართლევი. მათ შორის 2007 წელს ნარკოტიკის უკანონო შეძენისთვის, 2008 წელს იარაღის უკანონო ტარებისთვის, 2009 წელს კი ძარცვისთვის. ნასამართლევია მიშა იობაშვილიც, რომელიც 2009 წელს დანის უკანონო ტარებისთვის გაასამართლეს, რაც შეეხება ბექა ხოფერიას, ის ორჯერ, 2008 და 2010 წელს წელს წვრილმანი ხულიგნობისთვის და პოლიციის არდამორჩილებისთვის ადმინისტრაციულად არის დაჯარიმებული.

ნიუსპრესი

მიხეილ სააკაშვილი რომის ახლადარჩეულ პაპს ულოცავს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს სახელით რომის ახლადარჩეულ პაპს და კათოლიკურ სამყაროს ულოცავს.

„თქვენო უწმინდესობავ, მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური საქართველოს სახელით, თქვენ და მთელ კათოლიკურ სამყაროს ამ უმნიშვნელოვანეს დღეს გილოცავთ. გვჯერა, რომ ამიერიდან, საქართველოსა და ვატიკანის ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდება და მრავალფეროვანი გახდება, კათოლიკურ თემს კი საქართველოში ახალი ძალა შეემატება. მინდა იმედი გამოვთქვა, რომ კათოლიკური სამყარო ისეთივე თანმიმდევრული და მტკიცე იქნება საქართველოსთან ურთიერთობაში, როგორც ეს არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში, არამედ საუკუნეების განმავლობაში იყო. განუზომელია კათოლიკური თემის წვლილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. თითოეული მათგანი ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილია და აქ მათ ყოველთვის უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდნენ. ეს თემი საუკუნეების განმავლობაში იღწვოდა ქართული სახელმწიფოს სულიერი და კულტურული სიმდიდრის შესაქმნელად და არაერთი ბრწყინვალე ახალგაზრდა საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი და ხელოვანი გამოზარდა. მწამს, რომ თქვენ, როგორც ვატიკანის სახელმწიფოს მეთაური და კათოლიკეთა სულიერი მწყემსი, ისეთივე სიყვარულით განაგრძობთ საქართველოსთან ურთიერთობას, როგორც არაერთი თქვენი წინამორბედი,“ – ნათქვამია პრეზიდენტის მილოცვის წერილში.

ნიუსპრესი

ირაკლი ღარიბაშვილი ინტერპოლის გენერალურ მდივანს შეხვდა

საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფი შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ლიონში, ინტერპოლის გენერალურ მდივან რონალდ ნობელს შეხვდა. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრის შემდეგ ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს მიერ „ინტერპოლის სამგზავრო დოკუმენტების“ (პასპორტი და პირადობის მოწმობა) აღიარების შესახებ.

„ინტერპოლის სამგზავრო დოკუმენტი“-ს მფლობელებს, ინტერპოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ოფიციალური მოვალეობების შესრულებისას, საზღვრის კვეთის დროს, მიენიჭებათ სპეციალური ვიზის სტატუსი (უვიზო რეჟიმი, დაჩქარებული ვიზა ან სხვა სახის სპეციალური ვიზა). დაგეგმილია ასევე მინისტრის შეხვედრა ინტერპოლის გენერალური სამდივნოს სტრუქტურაში შემავალ სხვადასხვა ქვედანაყოფებთან, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლობის გაღრმავებასა და მომავალი სამოქმედო პრიორიტეტების დაგეგმვას.

ნიუსპრესი

არჩილ წაქაძე: „შსს-ს, თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროები კარგად მუშაობენ“

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან საუბრისას აღნიშნა, რომ არსებობდა, არსებობს და იარსებებს საკადრო პრობლემა, მაგრამ ამ პრობლემის მინიმუმამდე დაყვანა უნდა მოხდესო. აღნიშნულთან დაკავშირებით „ახალ თაობას“ ესაუბრა ორგანიზაცია „ჩვენ საქართველოს მოქალაქენის“ გამგეობის წევრი, ფსიქოლოგი და ანალიტიკოსი არჩილ წაქაძე.

– ბატონო არჩილ, თქვენი ორგანიზაცია საუბრობს ე.წ. „კადრების დეფიციტის“ შესახებ, არადა ცნობილი გამოთქმაა, რომ ქართველებს შეგვიძლია ყველა სახელმწიფო „მოვამარაგოთ“ მინისტრებით...

– კადრების დეფიციტის შესახებ საუბარი გვესმის ყველა მხრიდან, იქნება ეს საჯარო სამსახურები თუ კომერციული სტრუქტურები. ეს პრობლემა, სამწუხაროდ, გარკვეულწილად არსებობს. რეალურად არის პროფესიონალი კადრის სიმცირე, მაგრამ არა იმ მასშტაბებით, რაც გვესმის. უფრო ხელოვნურად გაბერილი მგონია და ამას თავისი მიზეზები აქვს: თუ გადავხედავთ ჩვენი ქვეყნის უახლოეს წარსულს, ბოლო 23 წლის მანძილზე განვლილი კატაკლიზმები განათლების სისტემას ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას არ აძლევდა. თითქოს სტაბილური 90-იანების ბოლოს ცოტა დათბა სიტუაცია და უკეთესობისკენ შეიცვალა, მაგრამ ძალიან მცირედით და განათლების მისაღებად ძირითადად ქვეყნის გარეთ მიილტვოდა შესაბამისი შესაძლებლობის მქონე მოქალაქეები. საზღვარგარეთ განათლების მიღება კი საკმაოდ ძვირია და ამის საშუალება ძალიან ცოტას ჰქონდა. შემდგომ, „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში, საგანმანათლებლო სისტემაში არაპროფესიონალი კადრების დანიშვნამ და უკვე მათგან გახორციელებულმა „რეფორმებმა“ მთლიანად კატასტროფულ მდგომარეობაში ჩააგდო მომავალი კადრების აღზრდის საქმე. არაჯანსაღი მიდგომა განათლებისადმი, სწავლების მეთოდიკის შეცვლა, სასკოლო სახელმძღვანელოების მდარე ხარისხი, დაიხურა პროფესიული და ტექნიკური სასწავლებლები, გაუქმდა სამეცნიერო ინსტიტუტები და შესაბამისად ახალგაზრდა თაობაში სანთლით საძებნი გახდა პროფესიონალი კადრი. ბუნებრივია ისმის კითხვა: მაშ, სადღაა კადრები? ამის პასუხად შემიძლია გითხრათ, არის მთელი თაობა, რომელიც 90-იანების დასაწყისში უმაღლეს სასწავლებლებში ინერციით შემორჩენილ განათლების დონეს მიჰყვა, აითვისა და შემდგომ პერიოდში იძულებული იყო, არა თავისი კვალიფიკაციით ემუშავა, როგორღაც გაეტანა თავი. ამასთან ერთად, მოქალაქეთა ის ნაწილი, რომელმაც საზღვარგარეთ ისწავლა და სამშობლოს დაუბრუნდა, ადაპტაცია გაიარა აქაურ რეალობასთან. არსებობს საკადრო ბაზაა, რომელსაც მოძიება სჭირდება.ასე რომ შაბლონად ჩამოყალიბებული „კადრების დეფიციტი“ მითია, საქმე იმაშია თუ სად ვეძებთ კადრებს.

– საჯარო სამსახურის ბიუროს ისევ ძველი კადრები ხელმძღვანელობენ, რა შეგიძლიათ ამაზე თქვათ?

– თვითონ ის ფაქტი, რომ რაღაც გარკვეულ სამსახურს ხელმძღვანელობენ „ძველი“ კადრები, ტრაგედია არ არის. მაგრამ როცა საქმე ეხება ქართულ რეალობას, გადავხედოთ: ხუთიოდე თვის წინ როგორი რეჟიმი იყო ქვეყანაში და როგორი პოლიტიზებული იყო ნებისმიერი სფერო, როგორ ხდებოდა თანამდებობებზე სრულიად არაპროფესიონალი, შეუსაბამო და ხშირ შემთხვევაში არანაირი კვალიფიკაციის მქონე პირთა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ და პრეზიდენტის ერთგულებისთვის დანიშვნა, ეჭვის ადგილიც აღარ რჩება, რომ სწორედ ტრაგედიასთან გვაქვს საქმე და მითუმეტეს, როცა საქმე ეხება საკადრო სფეროს, რაც ნებისმიერი მცირე იდეისთვისაც კი გადამწყვეტია, არათუ სახელმწიფოსთვის. როგორ უნდა შევიქმნათ ამ ფონზე ილუზია, რომ პრეზიდენტის, რომელიც თავისივე სიტყვებით თუ ქცევებით ოპოზიციის ლიდერია უფროა, უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამსახურის ბიურო, რომლის ხელმძღვანელს უშუალოდ პრეზიდენტი ნიშნავს და ათავისუფლებს, ქვეყნისთვის სასიკეთო საკადრო გადაწყვეტილებებს მიიღებს?! საფუძვლიანი ეჭვი კადრების პოლიტიკური ნიშნით გადარჩევის შესახებ თუნდაც იმ ფაქტის შემდეგ გაგვიჩნდა, რაც საჯარო სამსახურის ბიუროს გვერდზე გამოქვეყნებულ საკმაოდ სპეციფიურ ვაკანსიაზე ამ დარგის ერთ-ერთმა საუკეთესო სპეციალისტმა შეიტანა რეზიუმე და პასუხად მიიღო, რომ მან გასაუბრების პირველი ეტაპი ვერ გადალახა(არადა აღნიშნულ დარგში პროფესიონალების ჩამოთვლა ერთი ხელის თითებზეა შესაძლებელი, ამათგან რამდენიმე ქვეყანაშია დასაქმებული მაღალანაზღაურებად სამსახურებში, კერძო სტრუქტურაში, ხოლო ორი მათგანი საზღვარგარეთაა ასევე კარგად უზრუნველყოფილი.) სხვა ფაქტებიც უამრავია და წარუმატებელი აპლიკანტების საერთო ნიშანი, მიუხედავად მიმართულებების და კვალიფიკაციების განსხვავებისა, სწორედ ყოფილი ხელისუფლებისადმი არალოიალურობაა. პიროვნულად არც ბიუროს ხელმძღვანელ ბატონ ირაკლი კოტეტიშვილთან და არც მის მოადგილე ქალბატონ მაკა კურტანიძესთან პრეტენზია არ მაქვს. უბრალოდ, ყურადღებას ითხოვს ამ ადამიანების სამსახურეობრივი წარსული – ორივე მათგანი საჯარო სამსახურის ბიურომდე იმ პროკურატურის მაღალჩინოსნები იყვნენ, რომელსაც ზურა ადეიშვილი ხელმძღვანელობდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვთვლი, რომ ამ ბიუროს დანიშნულება ერთია – არ დაუშვას საჯარო სამსახურებში პროფესიონალი კადრის მოხვედრა. გადაარჩიოს ნებისმიერ ვაკანსიაზე დასაქმების მსურველი აპლიკანტები პოლიტიკური ნიშნით. ან კი სხვა სურვილის შემთხვევაში, როგორ უნდა შესძლოს 30-ოდე წლის პროკურატურის თანამშრომელმა ნებისმიერი სფეროსთვის პროფესიონალი კადრის შერჩევა? რა გამოცდილება აქვს მას ამისთვის? აქვე ცნობისთვის საინტერესო ფაქტს მოგახსენებთ: მაღალანაზღაურებადი ჩინოსნების რეიტინგში ბატონი ირაკლი ღირსეულ მე-7-ე ადგილს იკავებს. 2011 წლის მანძილზე მისმა შემოსავალმა 120 000 ლარი შეადგინა ხელფასის და პრემიის სახით.

– რახან საკადრო საკითხებზე ვსაუბრობთ, რომელ სფეროში შეიმჩნევა დაბალი პროფესიონალიზმი განსაკუთრებით?

– ჩვენს ორგანიზაციას, რამდენადაც ჯერ ახალი დაფუძნებულია და მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალი ადამიანებითაა დაკომპლექტებული, მაინც პირველ ნაბიჯებს დგამს და საშუალება არ ჰქონია ფართო კვლევა ჩაეტარებინა აღნიშნულ საკითხზე. თუმცა ჩემს აზრს მოგახსენებთ: ბუნებრივია, იმ მოცემულობაში, რაც ზემოთ აღვწერე, ფანტასტიკის სფეროდან იქნება, რომელიმე მიმართულებით მაღალი პროფესიული დონე რომ იყოს. ანუ, დღევანდელი მდგომარეობით თუ რომელიმე სფერო წარმატებულად მუშაობს, ეს პირდაპირი წესით დანიშნული პირებისა(მინისტრი, მინისტრის მოადგილე, დეპარტამენტების ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები, სახელმწიფო სსიპ-ებისა და შპს-ების ხელმძღვანელები) და ცალკეული, ერთეული კადრების დამსახურებაა, რომლებიც აცნობიერებენ, რომ ქვეყანას უნდა ემსახურონ და არა რომელიმე ლიდერს.

– რადგან საქართველოს პრეზიდენტის ხელშია საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელის დანიშვნა, როგორ შეიძლება ამ მნიშვნელოვანი საკითხის სწორად გადაწყვეტა?

– აქ პასუხი მარტივია. ოპოზიციაში მყოფ პრეზიდენტს მისთვის კონსტიტუციის მიმდინარე ვარიანტით მინიჭებული უფლებებით არ უნდა ჰქონდეს საკადრო გადაწყვეტილებების მიღების ბერკეტები. ამისთვის ან უნდა ჩამოერთვას ეს უფლება და საჯარო სამსახურის ბიურო ჩაბარდეს პროფესიონალ, ქვეყნის ინტერესების გამტარებელ კადრებს, ან უნდა მოხდეს საჯარო სამსახურებისთვის კადრების შერჩევის დეცენტრალიზაცია და დაუბრუნდეს ეს ფუნქცია ცალკეული სამსახურების ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებებს. იურიდიულად, პროცესუალურად რამდენად მარტივია ეს საკითხი, მაგაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ აქსიომაა: თუ გვინდა კარგი სახლის აშენება, უნდა ვიქირაოთ პროფესიონალი მშენებლები.

– ეფექტიანი ხელისუფლების საფუძველი პროფესიონალი და პასუხისმგებლიანი პერსონალია, თუ შეგიძლიათ, გააკეთეთ ანალიზი ახალი ხელისუფლების წარმომადგენლების შესახებ რამდენიმე სიტყვით.

– მთლიანობაში, მიუხედავად ზოგიერთ შემთხვევაში არაორდინალური გადაწყვეტილებისა, დადებითი სურათია. პირველ რიგში აღსანიშნავია შსს-ს, იუსტიციის და თავდაცვის სამინისტროების მუშაობა, მიუხედავად საკადრო პოლიტიკაში დაშვებული მცირედი ლაფსუსებისა, ამ სამინისტროების ხელმძღვანელები ძალიან წარმატებულად ახდენენ ყველა იმ კატასტროფული გადაცდომის აღმოფხვრას, რაც მათ მემკვიდრეობად ერგოთ და სტაბილურად ავითარებენ სისტემებს. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. მოგეხსენებათ, ამ სამინისტროს ფუნქცია ძალიან გაურკვეველი იყო წინა მთავრობის პირობებში და ახალი მთავრობაც დახურვას უპირებდა. მაგრამ ახალმა მინისტრმა, მის მიერ შერჩეულმა კადრებმა დაამტკიცეს ამ სამინისტროს არსებობის აუცილებლობა. მეტიც: ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი სისტემა შეიქმნა ჯერ კიდევ ხუთიოდე თვის წინ გაურკვეველი ორგანიზმისგან. მისასალმებელია განათლების მინისტრის ხედვები და გადაწყვეტილებები. ერთი რამაა გასაკვირი, რამოდენიმე პატივსაცემმა მინისტრმა ერთგვარი სიამაყით განაცხადა, რომ კადრები არ შეუცვლიათ, ან მაქსიმალურად ერიდებიან ასეთ ცვლილებებს. აი, აქ ვხედავ მათ შეცდომას – ნებისმიერი საჯარო სამსახური გადავსებული იყო და დღევანდელი მგომარეობითაც ასეა, პოლიტიკური ნიშნით, „ნაციონალური მოძრაობისადმი“ და პრეზიდენტისადმი ლოიალურად განწყობილი ადამიანებით, რომლებსაც ან არანაირი კვალიფიკაცია არ გააჩნიათ, ან ხელოვნურად იწვევენ ახალი მთავრობის დისკრედიტაციას. მაშ რატომ არ ხდება კადრების გადახალისება? უნდა მოხდეს საჯარო სამსახურებში ატესტაცია-ტესტირების გზით კადრების გადარჩევა. შეირჩეს ახალი, პროფესიონალი კადრი, რათა მეტად ეფექტური გახდეს ქვეყნის წინსვლისთვის აუცილებელი ინსტიტუციების მუშაობა. ამ კუთხით საჭიროა განსაკუთრებით სხარტი მოქმედება, სწრაფი რეაგირება. რამდენადაც ამომრჩეველს, რომელსაც ცვლილებების იმედი აქვს, თუ ამ კუთხითაც ვერ დაინახავს უკეთეს მომავალს, საფუძველი შეექმნება იმედგაცრუებისთვის და აპათიისთვის, რაც დაუშვებელია ისედაც გასული 2 ათწლეულის წარუმატებლობის და ქაოსის ფონზე.

რა პირობებში ცხოვრობენ უნარშეზღუდული ბენეფიციარები?

მერი ნამორაძე

წლევანდელი წელი, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წლად გამოცხადდა. როგორც ჩანს, ხელისუფლება შეეცდება, მაქსიმუმი გააკეთოს ამ ადამიანებისათვის, რათა მათი უფლებები იყოს დაცული საზოგადოებასა თუ ინსტიტუციურ დაწესებულებებში. უნარშეზღუდულთათვის ღირსეული საარსებო პირობების შექმნას შესაბამისი თანხები სჭირდება. რამდენად გასწვდება სახელმწიფო ამგვარი გარემო შექმნას, ძნელი სათქმელია. ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ ამ პირთა რეზიდენტული დაწესებულებები, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო მდგომარეობაშია.

სახალხო დამცველის აპარატმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეზიდენტულ დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგისას ფიზიკური გარემოც შეაფასა. მონიტორინგი განხორციელდა როგორც უნარშეზღუდულ ბავშვთა სახლებში, ასევე სკოლა-პანსიონებსა და მოზრდილთა პანსიონებში, სულ 13 დაწესებულებაში. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ამ დაწესებულებებიდან თბილისის №200 საჯარო სკოლა-პანსიონატი სრულად არის რეაბილიტირებული. დანარჩენ ოთხში ქვეყნის მასშტაბით, ნაწილობრივ განხორციელდა რეაბილიტაციის პროცესი, ხოლო ახალციხის №7 საჯარო სკოლა-პანსიონატში რეაბილიტაცია არ განხორციელებულა. აღნიშნული სკოლების მიმდებარე ტერიტორიების, ეზოში შესასვლელებისა და ეზოს მოწყობის თვალსაზრისით 6 სკოლიდან მხოლოდ ერთი, №202 სკოლა-პანსიონი აკმაყოფილებს ნაწილობრივ სამშენებლო სტანდარტებით დადგენილ ნორმებს. შენობებში შეღწევადობის თვალსაზრისითაც მხოლოდ ერთი, №200 სკოლა ნაწილობრივ აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს. შენობების ცენტრალური შესასვლელები უმეტესწილად არ არის მოწყობილი ეტლის სავალი ბილიკებით, აღჭურვილია მაღალსაფეხურიანი კიბეებით მოაჯირების გარეშე, რაც ნებისმიერი მობილურობის მქონე ადამიანისთვის საფრთხის შემცველია, ქმნის არაკომფორტულ და შეუღწევად გარემოს.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში ამბობენ, დაწესებულებების ადმინისტრაციას ხშირად აქვს მცდარი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თუ შენობა აღჭურვილია ეტლის სავალი ბილიკით, მაშინ ის ხელმისაწვდომია შშმ პირისთვის. მართალია, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად შეღწევადია შენობა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტია ის, თუ რა შესაძლებლობები არსებობს შენობის შიგნით გადაადგილებისთვის. სკოლა-პანსიონატების არც ერთი შენობა არ არის აღჭურვილი ლიფტით, რაც იმას ნიშნავს, რომ შშმ ადამიანებს სრულფასოვნად შენობის მხოლოდ ერთი რომელიმე სართულით შეუძლიათ ისარგებლონ. დაწესებულებათა უმეტეს ნაწილს პირველ სართულზე ადმინისტრაციული პერსონალი ჰყავს განთავსებული, მაშინ როცა აღნიშნული ტერიტორია მიჩნეულია ყველაზე ხელმისაწვდომ სივრცედ შშმ პირთა გადაადგილებისთვის შენობის შეზღუდული ხელმისაწვდომობის პირობებში.

ბენეფიციართა საცხოვრებელი ოთახების ხელმისაწვდომობის, განახლებული ინტერიერისა და ინვენტარის თვალსაზრისით შედარებით კარგი ვითარება აღმოჩნდა თბილისის №200 და ქუთაისის №45 სკოლა-პანსიონატებში. დანარჩენი დაწესებულებების უმეტეს ნაწილში საცხოვრებელ ოთახებში განთავსებულია მოძველებული ინვენტარი, მოძველებულია ინტერიერიც. თითქმის ყველა დაწესებულებაში საცხოვრებელი ოთახის კარი არ არის აღჭურვილი საკეტებით, უფუნქციოდაა ან იკეტება მხოლოდ გარედან. №203-ე სკოლა-პანსიონატის ერთ-ერთ საცხოვრებელ ოთახში საწოლებს შორის დაშორებამ შეადგინა 46 სანტიმეტრი, ახალციხის №7 სკოლაში – 28 სანტიმეტრი. ყველა დაწესებულების დამახასიათებელი ნიშანია სავენტილაციო სისტემების, მზრუნველის გამოსაძახებელი საშუალების არარსებობა და სუსტი განათება.

საპირფარეშოები და საშხაპეები გამონაკლისის გარეშე არის შეუღწევადი და მიუწვდომელი მოხმარებისათვის – საპირფარეშოები უნიტაზის გარეშეა, მათი არსებობის შემთხვევაში კი მოაჯირისა და საფარის გარეშეა. საშხაპეებისა და ონკანების უმეტესობა გაუმართავია ან საერთოდ არ არის, კარი არ იკეტება, სუსტი განათებაა. წყალგაყვანილობა, ონკანები და საკანალიზაციო სისტემები საჭიროებს შეკეთება-გამოცვლას. სკოლა-პანსიონების სასადილოების უმეტესობა გარკვეულწილად აკმაყოფილებს მისაწვდომობის საჭირო სტანდარტებს, თუმცა ეს მხოლოდ სასადილოების შიდა გარემოს შეეხება, ხოლო სასადილომდე მისასვლელები და შესასვლელები მიუწვდომელი რჩება.

სკოლა-პანსიონატებში რიგ შემთხვევებში დაფიქსირდა ბენეფიციართა პირადი სივრცითა და საცხოვრისით სარგებლობაზე უფლების შეზღუდვები. ბენეფიციარები ვერც კომუნიკაციის საშუალებებით სარგებლობენ, რათა თავისუფლად შეძლონ ურთიერთობა გარესამყაროსთან და არ იყვნენ იზოლირებულნი საზოგადოებისგან. კომპიუტერები ხშირად დაკავებული აქვთ თავად პედაგოგებს, ამას ემატება მათი სიმცირე და გაუმართაობა და ინტერნეტის შეზღუდული ხელმისაწვდომობა. არსებულ ვითარებაში ბენეფიციარების ერთადერთ საკომუნიკაციო საშუალება საკუთარი მობილური ტელეფონია, რომელიც ყველას არ გააჩნია.

რაც შეეხება ხელმისაწვდომობის საკითხს მოზრდილთა პანსიონატებში, დუშეთისა და ძევრის პანსიონატებში სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ კიბით, რომლის სიმაღლე დადგენილ ნორმაზე მეტია და შეადგენს 16 სანტიმეტრს (ნორმა არაუმეტეს 12 სმ-ია), ხოლო მარტყოფის პანსიონატი აღჭურვილია თანამედროვე ტიპის ლიფტით, რომელიც გამორთულია იმ მოტივით, რომ თურმე ბენეფიციარები „კატაობენ“ და გადაადგილება სართულებს შორის ძირითადად კიბით ხდება. მოხდა მარტყოფისა და დუშეთის პანსიონატების სრული რეაბილიტაცია, განახლდა ფასადი, ინტერიერი და ინვენტარი. საცხოვრებელი ოთახები აღჭურვილია ახალი და კომფორტული ავეჯით, ტელევიზორებით, გათბობის ცენტრალური სისტემებით. ხელმისაწვდომი გახდა სანიტარიული კვანძებიც.

ძევრის პანსიონატის საცხოვრებელ ოთახებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ინვენტარიდან საწოლების გარდა არაფერია განთავსებული. ოთახის კარი არ იკეტება, დაწესებულების სამ ოთახს კარი საერთოდ არ აქვს. პანსიონატის მზრუნველთა განცხადებით, კარი მოუხსნეს „მღელვარე“ ბენეფიციარებს, რათა ისინი მეტი ყურადღების ქვეშ ყოფილიყვნენ. არც ერთი პანსიონატის საცხოვრებელი ოთახი არ არის აღჭურვილი „განგაშის“ ან დამხმარე გამოძახების ღილაკით.

სანიტარიული კვანძები მარტყოფში ხელმისაწვდომია, თუმცა მოწყობილია დადგენილი ნორმების დარღვევით. დუშეთის პანსიონატში სანიტარიული კვანძები შეღწევადია, თუმცა კვანძის კარები არ იკეტება. რაც შეეხება ძევრის დაწესებულებას, იქ სანიტარიული კვანძები შეუღწევადი და ხელმიუწვდომელია, საპირფარეშოების უმეტესობა უნიტაზის გარეშეა შესასვლელებში მაღალი ზღურბლებით.

ძევრისა და მარტყოფის პანსიონატებს დამხმარე ინვენტარის მარაგები არ გააჩნია. ბენეფიციართა დიდი ნაწილი სარგებლობს ამორტიზებული ეტლებით. დუშეთში, მიუხედავად დამხმარე ინვენტარის მარაგის არსებობისა, ბენეფიციარები მაინც ამორტიზებული ეტლებით სარგებლობენ. ყველა პანსიონატის ბენეფიციარი უკმაყოფილებას გამოთქვამს ადგილობრივი წარმოების ყველგანმავალი ეტლების მიმართ. ისინი აღნიშნავენ, რომ ეტლები მალე გამოდის მწყობრიდან, არ აქვს ხელის საყრდენი და ბალიში არ მაგრდება სავარძელზე, რის გამოც ურჩევნიათ, ამორტიზებული ეტლით ისარგებლონ.

სახალხო დამცველის რეკომენდაციით სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ უნდა იზრუნოს შენობა-ნაგებობებში ცენტრალური სავენტილაციო სისტემისა და ლიფტების ამოქმედებაზე, წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემების შეკეთება-გამოცვლაზე, ინვენტარის შევსებაზე. ასე რომ, სასურველი და ხელმისაწვდომი გარემოს შესაქმნელად კვლავ დიდი ძალისხმევაა საჭირო.

ვინ დაანგრია პოეზიის სასახლე?

ეკა ირემაშვილი

სოლოლაკში მდებარე პოეზიის სასახლე 28 თებერვალს მიწასთან გასწორეს. მაშინ, როცა კულტურის სამინისტრომ არაერთ კულტურულ ძეგლზე აღდგენითი თუ სარესტავრაციო სამუშაოები შეაჩერა, სოლოლაკში, მთაწმინდის კალთებთან „პოეზიის სასახლის“ – „არტისტული ყვავილების“, სამი თეთრი თაიგულის ფორმის უნიკალური შენობა-მემორიალი სრულიად დანგრეულია. „პოეზიის სასახლე“ 10 წელიწადი მიტოვებული იდგა ამაღლების ქუჩის თავში, ქალაქის შესასვლელთან. კაპიტალმა და ბიუროკრატიამ კი საბოლოო განაჩენი გამოუტანა მის განსხვავებულობას.

– ეს შენობა მსოფლიოში გამოირჩეოდა განსხვავებული არქიტექტურითა და მშენებლობის ტექნოლოგიით, რადგან იგი ადგილზე დაძერწა ავტორმა. ჯერ კიდევ დაუმთავრებელმა „პოეზიის სასახლემ“ უკვე მოასწრო სამი საერთაშორისო ჯილდოს აღება. მათ შორის, 2006 წელს მიიღო არქიტექტურის საერთაშორისო ტრიენალეს ვერცხლის მედალი და პრემია „მაღალი ხუროთმოძღვრული ოსტატობისათვის“. ამ უნიკალური შენობის ავტორია ცნობილი არქიტექტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიებისა (ქალაქები სოფია, მოსკოვი, ბაქო) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი შოთა ბოსტანაშვილი, – აღნიშნავს ისტორიკოსი ჰენრი კუპრაშვილი.

პოეზიის სასახლის მშენებლობა 1999 წელს დაიწყო. 2002 წელს შენობის არქიტექტურული სახე დასრულებული იყო, დარჩენილი იყო მხოლოდ შიდა სამუშაოები.

– 2012 წლის ბოლოს პოეზიის სასახლემ შეიცვალა მფლობელი. იგი შეიძინა „ენჯიეს გროუპ“-მა. ახალი მფლობელისთვის ხელოვნება და არქიტექტურა უფრო ნაკლებ ფასეულობას წარმოადგენს, ვიდრე პოეზიის სასახლის ადგილას მის მიერ დაგეგმილი დიდი ფულის მომტანი მრავალსართულიანი „ელიტური“ სახლის მშენებლობა. ლოგინს მიჯაჭვული „პოეზიის სასახლის“ ავტორი, რადგან მას არ ჰყავს გავლენიან „ქართულ ელიტაში“ მფარველები, უმწეოდ შესცქერის, თუ როგორ ანადგურებენ „ძლიერი“, გავლენიანი და ფულიანი ვანდალები მის ქმნილებას, ქართულ არქიტექტურულ და კულტურულ ძეგლს. ეს შეიძლება მოხდეს ქვეყანაში, სადაც ჯაყო-ყვარყვარეები და მათი მენტალიტეტი ბატონობს. ღმერთო, ნეტავი მეყოს სიცოცხლე, რათა შევძლო, პასუხი გავცე ქართული პოეზიის სასახლის იავარმქმნელ ვანდალებს!

ბატონი ჯემალ აჯიაშვილი გარდაცვლილია და ვანდალების მიერ პოეზიის სასახლის განადგურებას ვერ გაპროტესტებდა, მაგრამ ის ცნობილი ადამიანები (არქიტექტორები, პოეტები და სხვა), რომლებმაც 2004 წელს ქება აღავლინეს პოეზიის სასახლის პრეზენტაციაზე, ახლა რატომ დუმან? ისინიც გარდაცვლილნი არიან? ჰო, ნამდვილად გარდაცვლილნი არიან! მე ასე ვთვლი! ქართველი საზოგადოების დანარჩენი ნაწილიც პოლიტიკურ პროსტიტუციაშია ჩართული და, პირადი სარგებელსიამოვნების მომლოდინეს, სად სცალია ასეთი ღირებულებებისთვის! კაცი რომ პოეზიის სასახლეს დაანგრევ, ძალიან სულით ბინძური და შავი უნდა იყო! მე დარწმუნებული ვარ, აუცილებლად დადგება მისი განკითხვის დღე! პოლიტიკური პარტიების (ნაცების, ქოცების...) უკანალში შემძვრალო, შავი კაცების ფულებს დახარბებულო, ფურთხის ღირსო ქართველო საზოგადოებავ, განსაკუთრებით კი დღევანდელო ქართველო არქიტექტორებო და პოეტებო... ვერ მოიცალეთ? თქვენ თვალწინ დაანგრიეს ქართული პოეზიის ძეგლი, გალაკტიონის „არტისტული ყვავილები“! სულ სიბნელე და შავი კაცების დღე ხომ არ იქნება? როდესაც გათენდება, მერე თავი სად უნდა გამოყოთ? ჩვენს ქალაქს, ჩვენს პოეზიას, ჩვენს არქიტექტურას აუპატიურებენ, ხალხო და არ შეიძლება, ასე ჩუმად ვიყოთ! – აცხადებს ჰენრი კუპრაშვილი.

პოეზიის სასახლის ავტორის ცნობით, 2012 წლის ბოლოს პოეზიის სასახლემ შეიცვალა მფლობელი. თბილისის არქიტექტურის სამსახურის საიტის მიხედვით, მისი მფლობელი გახდა „ენჯიეს გროუპი“. 2013 წლის 8 იანვარს შეტანილი განცხადების მიხედვით, მფლობელი ითხოვდა პოეზიის სასახლის დანგრევას. განაცხადის შემტანი არის სუპერმარკეტების ქსელ „ფრესკოს“ დირექტორი. ახალმა მფლობელმა დაგეგმა პოეზიის სასახლის ადგილას მრავალსართულიანი „ელიტური“ სახლის მშენებლობა. დემონტაჟის პროექტის ავტორი პოეზიის სასახლის დანგრევას „პატრიოტულ მოვალეობად“ მიიჩნევს, რასაც „მერიის არქიტექტურის სამსახურმა ხელიც უნდა შეუწყოს“. ამ დოკუმენტში პოეზიის სასახლე მოხსენიებულია, როგორც რესტორანი და აღწერილია მხოლოდ მისი სამშენებლო-კონსტრუქციული ელემენტები. არაფერია ნათქვამი უნიკალურ ნაძერწზე და დასრულებული გვერდითი ფასადის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ახალ მფლობელებს არ ჰქონდათ მიღებული ნებართვა სადემონტაჟო სამუშაოების დასაწყებად, 17 იანვრისთვის გვერდითი ფასადის ქვის დახვეწილი მოპირკეთება უკვე ჩამოხსნილი იყო.

არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებმა პოეზიის სახლის დანგრევის საწინააღმდეგოდ საპროტესტო აქციაც გამართეს. სტუდენტების განცხადებით, პოეზიის სახლის შენობა უნიკალური არქიტექტურული ძეგლია და მისი დანგრევა ვანდალიზმს წარმოადგენს. აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ შენობის იერის შენარჩუნებას.

ამაღლების №47-ში მდებარე „პოეზიის სასახლის“ მფლობელი იურიდიულად სამშენებლო კომპანია „ენჯიეს გრუპია“. კომპანიის წარმომადგენელი ნინო აბსანძე განმარტავს, რომ „ენჯიეს გრუპმა“ შენობა 2012 წლის დეკემბერში შეიძინა, დანგრევის ნებართვა კი მერიისგან თებერვალში მიიღო. ზამთრის ბოლო დღეს შოთა ბოსტანაშვილმა პოეტური პერფორმანსი ჩაატარა: პოეზიის სასახლის ნანგრევიდან ისმოდა გალაკტიონის პოეზია.

შოთა ბოსტანაშვილი, პოეზიის სასახლის ავტორი:

– 2013 წლის 28 თებერვალს პოეზიის სასახლე მთლიანად გააცამტვერეს. სამი დღის შემდეგ, 3 მარტს, დანგრეული პოეზიის სასახლე პოეტურ სიტყვაში აღდგა. პოეზიის სასახლის ნანგრევთან ბოლო პოეტური პერფორმანსი შედგა. არადა, 9 წლის წინ, 2004 წლის სამ მარტს, პოეზიის სასახლის პრეზენტაციას საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ უმასპინძლა. შედგა გამოფენა-პრესკონფერენცია რუბრიკით „არტისტული ყვავილები. ბუნებისა და არქიტექტურის დიალოგი“ და მას ესწრებოდნენ როგორც არქიტექტორები, ასევე პოეტები, მხატვრები, სტუდენტები თუ ჟურნალისტები, მათ შორის ჯემალ აჯიაშვილი, დავით ანდრიაძე, ემზარ კვიტაიშვილი, პაატა ნაცვლიშვილი, ნესტან რაზმაძე. 9 წლის წინ ქართული პრესა და ტელევიზია ამ ღონისძიებას აქტიურად გამოეხმაურა, ცხრა წლის შემდეგ კი პოეზიის სასახლის განადგურებამ სრულ სიჩუმეში ჩაიარა. ასე დამთავრდა მსოფლიო არქიტექტურის ისტორიისთვის საეტაპო და პირველი ქართული თანამედროვე ხუროთმოძღვრული წერილობის ნგრევის ქრონიკა, რომელიც ნანგრევის პოეტიკის აქციად ვაქციეთ. ზამთრის ბოლო დღეს პოეზიის სასახლის უკანასკნელი წაქცეული კოშკი ნამსხვრევებად აქცია რკინის ორმა მანქანამ. დასრულდა ათწლიანი ხუროთმოძღვრული პერფორმანსი: პოეზიის სასახლის ადგილზე დაძერწვით დაწყებული, მისი მარტო დგომით გაგრძელებული და ნგრევით დამთავრებული. 27 თებერვალს პოეზიის სასახლის ბოლო კოშკი წაიქცა. იმ დღეს ბოლოჯერ ვიდექით რვა საათის განმავლობაში პოეზიის სასახლის სადარაჯოზე მე და ჩვენი „არქიტექტურის პოეტიკის“ სტუდიის გამორჩეული სტუდენტი შოთა ჯოჯუა, რომ არ გამოგვპარვოდა არც ერთი საინტერესო კადრი. ასე გავატარეთ ეს ბოლო ათი დღე.





– თქვენი ნამუშევრის ნგრევას პოეტური პერფორმანსით რატომ შეხვდით?

– იმიტომ რომ სხვა გზა აღარ დამიტოვეს. ისევ პოეზია თუ დამეხმარებოდა. 25 თებერვალს წვიმაში კოჯრისკენ მიმავალი გზაზე რუსეთიდან ჩამოსულმა საქმოსანმა „პოეზიის სასახლის“ ორი კოშკი დაანგრია. მეორე დღეს კი მესამე კოშკიც გაქრა. სულ სამი გულშემატკივარი ვიყავით, ვიდექით და ვუყურებდით. შემდეგ წაქცეული კოშკები ორმა მექანიკურმა ჩაქუჩმა მტვრად აქცია.

– პოეზიის საღამოების ჩატარება თუ მოასწარითო?

– 21 თებერვალს პოეზიის სასახლემ პირველ პოეტურ პერფორმანსს უმასპინძლა. მაშინ წავიკითხე საკუთარი პოეტური ტექსტი „ნარა/ტივი“. მსმენელები „არქიტექტურის პოეტიკის“ სტუდიის მსმენელები იყვნენ. პოეზიის სასახლის გახსნა ყველანაირად შეგვეძლო წარმოგვედგინა – დასრულებულ შენობაში, მედიაყურადღების ცენტრში, მრავალი სტუმრით. მაგრამ სწორედ ამ მდგომარეობაში უნდა ემასპინძლა პოეზიის სასახლეს პოეზიისთვის. თითქოს იმიტომ აშენდა, გამოიძერწა, ცხრა წელი მიტოვებული იდგა, გაიყიდა და დაინგრა, რომ ეს აქცია შემდგარიყო. იყო იმედები, რომ პოეზიის სასახლე დასრულებული გაიხსნებოდა. იყო იმედები, რომ მისი დანგრევისგან ხსნა შესაძლებელია, მაგრამ 21 თებერვალს შედგა პოეზიის სასახლის საზეიმო-სევდიანი გახსნა. ზამთრის ბოლო კვირა პოეზიის სასახლის ფიზიკურად ყოფნის ბოლო კვირა აღმოჩნდა. გვერდითი ფასადი უკვე აღარ არსებობდა და კოშკების სვეტების კონსტრუქციული დაზიანება მიმდინარეობდა, რომ მათი წაქცევა მოხერხებულიყო. ნგრევის პროცესი ხალისიანად მიმდინარეობდა.

– რატომ გადაწყვიტეთ პოეზიის სასახლის ასე გამოძერწვა?

– პოეზიის სასახლის ყოველი მონახულების შემდეგ კიდევ უფრო დარწმუნდებოდით მის მშვენიერებასა და მნიშვნელობაში. კვლავ გაგახსენებოდათ ის განსხვავებები, რომელსაც ეს არტეფაქტი ქმნიდა დროსთან და არსებულ მასკულტურასთან მიმართებით. ნაძერწის მნიშვნელობა იყო წინ წამოწეული. რამდენადაც შენობა არქიტექტურისა და ქანდაკების საზღვრებზე (ისევ საზღვრები – ბუნებისა და ქალაქის, ორი ათასწლეულის, არქიტექტურისა და სკულპტურის) აღმოცენდა, მისი მნიშვნელობა ქანდაკების მხრივაც გამორჩეული იყო. ნაძერწი არქიტექტურულ ქანდაკებას წარმოადგენდა, მისი ყველა დეტალი, პროპორცია, ტექტონიკა, ხაზი სიზუსტემდე იყო მიყვანილი. ქანდაკების ისტორიაში მრავალი „ვერძი“, „ვეფხვი“ და „ადამიანი“ დაგროვდა. პოეზიის სასახლის კაპიტელები ქანდაკების ისტორიის ახალი ფურცელი უნდა ყოფილიყო და ეს ყველაფერი მარტოობაში შეიქმნა, ადგილზე, მთის კალთის ქვეშ. პოეზიის სასახლის ნაძერწი ერთგვარი სტერეოქანდაკება იყო. თუ ტრადიციული ქანდაკების თვალიერება მის გარშემო მოძრაობით არის შესაძლებელი, აქ ეს სიტუაცია შევატრიალეთ. ნებისმიერი ერთი ადგილიდან შესაძლებელი იყო, ერთდროულად დაგენახა ანფასი, 3/4, პროფილი, სილუეტი და ა.შ. სასახლე ერთდროულად შლიდა მნახველის წინაშე ყველა ხედს – როგორც კუბისტურ ნახატში, მაგრამ აქ სიტუაცია უფრო რთულად იყო. ტრადიციულ ქანდაკებაში ხედვის ერთ წერტილს და ერთი ხედი შეესაბამება. ეს წერტილი ყოველთვის ერთ მნახველს უკავია (დროით ერთი, ადგილით განსხვავებული). პოეზიის სასახლესთან ეს წერტილი განიცდიდა გამრავლებას, გაწელვას, სივრცით განშლას. სხვადასხვა წერტილიდან სხვადასხვა მნახველი ნაძერწის სრულ სინამდვილეს ხედავდა. ათვლის წერტილის (ხედვის) გამრავლებასთან ერთად პოეზიის სასახლე დროსივრცითი კოორდინატთა მრავალი სისტემის ზედდებას ქმნიდა. მზერის გაორმაგება, გასამმაგება, გაოთხმაგება მნახველის და დანახულის ამგვარი რთული მიმართებები ველასკესის ფერწერული ტილოს „სეფექალები“ სიტუაციის ერთგვარი ანალოგია იყო. დაბოლოს, კოშკებს შორის ყოფნა, როგორც განსაკუთრებული მდგომარეობა. ეს სულ სხვა სივრცე აღმოჩნდა. ეს სივრცე კოშკებს შორის თუ ხეებს შორის, შორიდანაც მიმზიდველად გამოიყურებოდა. ეს ჭრილი ამ დღეებში ჩემთვის ჭრილობად გადაიქცა.

– თქვენმა პროტესტმა რამე შედეგი გამოიღო?

– როგორც ხედავთ – არანაირი. 12 თებერვალს სტუდენტთა ჯგუფი შეიკრიბა პოეზიის სასახლესთან. სულ თხუთმეტამდე კაცი. აქვე იყო „ენჯიეს გრუპის“ დამფუძნებელი ვასილ სოფრომაძე და კომპანია „ფრესკოს“ დირექტორი ნინო აბსანძე. სტუდენტებს სურდათ, მოეძებნათ გზა უნიკალური ნაკეთობის გადასარჩენად. თუმცა აქციის მთავარი მიზანი უფრო ფაქტების საჯარო სივრცეში გაჟღერება იყო, რომ პოეზიის სასახლე ქართული კულტურის ღირებულებაა, რომ იგი უნიკალურია, როგორც შედეგი და როგორც მისი შექმნის მეთოდი და ისტორია და რომ მისი გულგრილად დანგრევა დამთრგუნველად მოქმედებს. პოეზიის სასახლის დანგრევის სურვილს ზუსტი შეფასება მისცა ისტორიკოსმა, პროფესორმა ჰენრი კუპრაშვილმა: „ეს არის ბარბაროსობა და მისი ჩამდენი დამანგრევლის სახელით შევა ისტორიაში“. ტელევიზიები უფრო სკანდალურ ქმედებებს ელოდნენ, მაგრამ სტუდენტები მშვიდად იდგნენ. ეს სიმშვიდე ახალი მფლობელებისთვის ხელსაყრელი გამოდგა და უცნაური დებატების ფორმატში გადაიყვანეს აქცია. არ დაიზარეს და ახალგაზრდებს დარიგებები მისცეს, შეახსენეს რომ ისინი ახალგაზრდები არიან და ჯერ კიდევ არ იციან ბევრი რამ, რომ შენობა ავარიულია, რომ არ აქვს მინიჭებული ძეგლის სტატუსი, არადა, მას სამი საერთაშორისო პრემია აქვს მოპოვებული, რაც მათთვის არაფერს ნიშნავს და რომ კანონი მათ მხარეს არის. კანონი რომ მათთვის სასარგებლოდ შემოეტრიალებინათ, დიდი მუშაობა შეასრულეს. ამისდა მიუხედავად, ეს ის შემთხვევაა, როდესაც თავად კანონია დამნაშავე პიროვნების წინაშე, როდესაც საავტორო ნაწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ საქონლის სტატუსი აქვს, რომელიც ყიდვა-გაყიდვის საგანია და სხვა არაფერი. ეს თანამედროვეობის პოლიტიკური და ეკონომიკური კლიმატია, გზა გაუხსნას კაპიტალს და სრულიად უგულებელყოს პიროვნება – ზოგადად ადამიანი. ეს ის კლიმატია, სადაც ადამიანის ხმა ჩახშულია. აქვე გავამახვილებ ყურადღებას საინტერესო დაკვირვებაზე: როდესაც პოეზიის სასახლის მოწონება-არამოწონებაზე საუბრობდნენ, ღელავდნენ, ირონიულ რეპლიკებს ისროდნენ, მხოლოდ ხელს თუ გაიშვერდნენ შენობის ნაძერწისკენ ან, ყველაზე მეტი, ნახევარწამიანი მზერით გაიხედავდნენ მისკენ. იქ იდგნენ ჟურნალისტები, ოპერატორები, მფლობელები, მონაწილეები და არც ერთი მათგანი არ ჩერდებოდა და თითქოს ვერ ბედავდნენ პოეზიის სასახლისთვის ყურადღებით შეხედვას, თითქოს მისკენ თავის მობრუნებით გაქვავდებოდნენ, არადა, პირიქით, კოშკების სახე უკვე გაქვავებულ ცნობიერებას მშვენიერების ნაკადით გაკვეთდა. ყურადღება, შეჩერება, მზერა – ეს აკლია თანამედროვე „ინსტანტ კოფი“ ეპოქას. ამ დროის არქიტექტურაც ამ ერთჯერადი და სწრაფი მოხმარების იმიჯებზეა აგებული. სწორედ ამ ეპოქასთან ქმნიდა განსხვავებას პოეზიის სასახლე. აქ უნდა შეყოვნებულიყავი და გეყურებინა ქართული შუქ-ჩრდილით ამღერებული ნაძერწისთვის. ვიცი, რომ არის სურვილი, პოეზიის სასახლე წარსულად გამოაცხადონ, არა თანამედროვედ. პოეზიის სასახლე არ ეკუთვნის წარსულს, არც აწმყოს და არც მომავალს. უფრო სწორად, ამ აწმყოს, ამ წარსულსა და ამ მომავალს – საერთო დროს. მან საკუთარი დრო შექმნა – საკუთარი წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

– თქვენ გაეცანით ოფიციალურ დოკუმენტებს, რის საფუძველზეც თქვენი ნამუშევარი დაინგრა?

– რა თქმა უნდა და ვუპასუხე კიდეც. პოეზიის სასახლის დანგრევის ნებართვასთან დაკავშირებით თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული-მეთოდური საბჭოს სახელზე შეტანილია ორი განცხადება: პირველ განცხადებაში წერია: „გავეცანი თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში (ა.წ. 08.01.13) შემოსულ განცხადებას, რომელიც შეეხება თბილისში, ამაღლების ქუჩის ბოლოში (№47) აშენებული (შიდა სამუშაოები დაუმთავრებელია) „პოეზიის სასახლის“ (ყოფილი რესტორანი „სამადლო“) დემონტაჟის პროექტს. გავიგე, რომ შენობის ახალი მფლობელი აპირებს მის ადგილზე „ელიტური საცხოვრებელი სახლის“ აშენებას. წარმოდგენილ პროექტში ვკითხულობთ: „მეპატრონის გადაწყვეტილება თითქმის დასრულებული რესტორნის დაშლა-დემონტაჟზე პატრიოტულ მოვალეობად მიმაჩნია“. ეს ფრაზა გახლავთ დემონტაჟზე ნებართვის მაძიებელთა მთავარი არგუმენტი. ასეთი ექსკლუზიური პატრიოტიზმი ახალ დამკვეთს ძალიან ძვირი უჯდება: მილიონებად შეძენილი უნიკალური არქიტექტურა (სამი საერთაშორისო პრემიით აღიარება, გამოხმაურებები); დემონტაჟის ხარჯები და ახალი სახლის აშენების ხარჯები, რომლის თითოეული კვადრატული მეტრის ღირებულება ფანტასტიკურ ციფრებსაც კი აჭარბებს. ისმის კითხვა – ხომ შეიძლება შეძენილი „თითქმის დამთავრებული“ შენობის ადაპტაცია – სხვა ფუნქციისათვის გამოყენება, დამკვეთისა და ქალაქის ინტერესების გათვალისწინება და არა „ელიტის“ („ელიტური საცხოვრებელი სახლი“), მით უმეტეს, რომ არსებული პოეზიის სასახლე სრულ შესაბამისობაშია უბნისთვის დასაშვებ კოეფიციენტებთან. განზრახული „ელიტური სახლი“ იმ შემთხვევაშიც ფანტასტიკურად არარაციონალურია, თუ იგი იქნება ძალიან მაღალი, მრავალსართულიანი. ვფიქრობ, ეს უტოპიური სურვილია, მაგრამ მისი განხორციელების შემთხვევაში გაჩნდება პრეცედენტი, რომელიც მთელ იმ ლანდშაფტურ უბეს და 2-3-სართულიან განაშენიანებას მაღლივ საცხოვრებელ მასივად გადააქცევს. მე, როგორც ამ შენობის ავტორი, არქიტექტორი და მოქანდაკე, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიისა და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, პოეტი და კულტუროლოგი, ვინც სტუდენტობის წლებიდან ვდგავარ კულტურისა და კერძოდ ქართული კულტურის ავანგარდში, წარმოდგენილი პროექტი „პოეზიის სასახლის დემონტაჟი“ და არა რესტორნის სრულ აბსურდად მიმაჩნია, ხოლო შენობაზე განხორციელებული დარტყმა პირადად ჩემზე და, რაც მთავარია – ქართულ კულტურაზე განხორციელებულ ძალადობად. პოეზიის სასახლე ქართული კულტურის მნიშვნელოვანი და აღიარებული ნაწილია. მაშინ ვაცხადებდი, რომ მოვითხოვ კულტურის სამინისტროს ქმედით რეაგირებას – შენობის დაცვას, სათანადო სტატუსის მინიჭებასა და კულტურული ფუნქციისთვის გამოყენებას. მოვითხოვდი „პოეზიის სასახლის“ გვერდითი ფასადისა და სხვა ჩამონგრეული ნაწილების აღდგენას, ხოლო უნებართვო მნგრეველთა მიმართ სათანადო ზომების მიღებას. ამ განცხადებაზე პასუხი ამგვარია: „თქვენი განცხადება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით“. არადა, „პოეზიის სასახლემ“ მიიღო პირველი პრემია საერთაშორისო დათვალიერება-კონკურსის დროს, ასევე არქიტექტურის საერთაშორისო ტრიენალეს სპეციალური პრემია და ვერცხლის მედალი „პოეზიის სასახლისათვის“ სოფიაში და რუსეთის არქიტექტორთა კავშირის მედალი „მაღალი ხუროთმოძღვრული ოსტატობისათვის“ „პოეზიის სასახლისათვის“ სოფია, მოსკოვი.

სასამართლომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი დირექტორის სარჩელი დასაშვებად ცნო

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაციით, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი გენერალური დირექტორის გიორგი ბარათაშვილის ინტერესებს იცავს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი ბარათაშვილის, სარჩელი დასაშვებად სცნო. ამასთანავე, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, შეჩერდა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად მიმდინარე ღია კონკურსი.

გიორგი ბარათაშვილის სარჩელთან დაკავშირებით მოსამზადებელი სხდომა, მიმდინარე წლის 8 აპრილს, 12 საათზე დანიშნა.

ნიუსპრესი

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ კიდევ ორმა დეპუტატმა დატოვა

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ კიდევ ორმა დეპუტატმა დატოვა.

ინფორმაციას ამის შესახებ საკრებულოს პრესსამსახური ადასტურებს. ფრაქციის დატოვებაზე გუშინ განცხადება იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით ჯინჭარაძემ და მისმა მოადგილემ გიორგი ქველიძემ გააკეთეს.

ჯინჭარაძის განცხადებით, მისი გადაწყვეტილება ზეწოლის შედეგი არ არის და ეს არჩევანი ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ გაანაპირობა.

„მე წარმოვადგენ იმ უბანს საკრებულოში, სადაც დავიბადე და გავიზარდე, დღესაც იქ ვცხოვრობ და დღევანდელი მდგომარეობით პოლიტიკური შეხედულებები ცოტა სხვანაირია. ეს ჩემი გადაწყვეტილებაა, არავითარ ზეწოლაზე საუბარი არ არის. ვიცი ძალიან ბევრი კითხვა იქნება ამასთან დაკავშირებით, მაგრამ მინდა მართლაც გულწრფელად ჩავხედო თვალებში ჩემს მეზობლებს, მეგობრებს და ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც ამირჩიეს იმისთვის, რათა მათი ცხოვრება დღევანდელზე უკეთესი გამხდარიყო“ – განაცხადა ჯინჭარაძემ.

ცნობილია ისიც, რომ დავით ჯინჭარაძე და გიორგი ქველაძე უკვე არსებულ ფრაქციებში გაწევრიანებას არ აპირებენ. საკრებულოს უმრავლესობის დატოვების შემდეგ ისინი მხოლოდ ახალი ფრაქციის შექმნის შესაძლებლობას განიხილავენ. ამ დროისთვის საკრებულოში 47 დეპუტატია. აქედან 27 „ნაციონალურ მოძრაობაში“ ირიცხება, 20 კი ოპოზიციურ ფრაქციებში.

ნიუსპრესი

აზერბაიჯანში ენდიაის თანამშრომელი დააკავეს

გუშინ ბაქოში ეროვნული უსაფრთხოების სამინისტროს თანამშრომლებმა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ბაქოს ოფისის თანამშრომელი რუსლან ასადი დააკავეს.

როგორც „თურანისთვის“ გახდა ცნობილი, ასადი ოფისიდან გასვლისას ორმა პირმა მანქანაში ჩასვა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებაში წაიყვანა. მანამდე ამ განყოფილებაში რაშად გასანოვიც დაკითხეს. ორივე ეს ახალგაზრდა 10 მარტის საპროტესტო გამოსვლაში მონაწილეობდა. მათი დაკავების შესახებ ამერიკის საელჩო ინფორმირებული იყო.

ასადი ადგილობრივი დროით 19:00 საათზე გაათავისუფლეს. მას ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებია. შეგახსენებთ, რომ 10 მარტს ახალგაზრდების მიერ ორგანიზებული აქცია ბაქოს პოლიციამ აღკვეთა. აქციის დარბევა აზერბაიჯანშიც ამერიკის ელჩმაც დაგმო.

